



# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№196 (255) 13-20 ნოემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი 30 თეთრი

## რამ დაბვლუა? რა გადაბვარჩენს?

(რედაქციაში წერილი მოვიდა)



ამ სათაურით 2002 წელს გამოიცა ბატონ ალექსანდრე ზაზიას წიგნი, რომელშიც შევიდა მისი პუბლიცისტური წერილები. აღნიშნულ წიგნში დაინტერესებულნი მკითხველი ყოველთვის პოულობდა თვითუფლისათვის საინტერესო, საჭიროებო საკითხებს მკაცრ, მაგრამ ობიექტურ პასუხს. აღნიშნული წერილები იქმნებოდა მაშინ, როცა აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ერთიანობის რღვევის პროცესები, რომელიც არ შეწყვეტილა 2012 წლამდე, ვიდრე ქართველმა ხალხმა ისტორიის სანაგვეზე არ მოისროლა ავადსახსენებელი „ნაციონალები“ და მათი არაქართველი „ბელადი“ სააკაშვილი.

მცირე ხნით მოეწვედნენ ძირითად სათქმელს და გაცნობდნენ, რომ რედაქციაში უკვე მეორედ შემოვიდა ჩვენი აქტიური მკითხველის ბატონ ალექსანდრე ზაზიას წიგნი, რომელშიც დაბეჯითებით თხოვს ბატონ ალექსანდრე ზაზიას, რომ იგი უფრო აქტიურად ჩაერთოს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარდა სხვა მოტივაციებისა, თავის კატეგორიულ მოთხოვნას წერილის ავტორი ასაბუთებს იმითაც, რომ ბიძინა ივანიშვილი წლინახევრის შემდეგ აპირებს იდვი პოლიტიკიდან წასვლას და საკუთარ ბიზნესს დაუბრუნდება, რის შემდეგაც დაიწყება პოლიტიკური სუბური და ქვეყნის სათავეში შეიძლება აღმოჩნდეს ნაციონალურზე უარესი ძალა, რომელიც ძველი შემართებით გააგრძელებს ქვეყნის დაშლა-დანაწევრების პროცესებს. ამგვარი საფრთხე რომ მართლაც არსებობს, ამას დიდი პოლიტიკური გამოცდილება არ სჭირდება. სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ავანგარდში იმყოფებიან ავადსახსენებელი „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ამოზრდილი რესპუბლიკელები, რომლებიც მცირე ხნის წინ თავდაუზოგავად ებრძოდნენ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს, ერის მამად მიჩნეულ დიდ ილიას კი მხოლოდ ერთ საშუალო დონის მწვერვალად მოიხსენიებდნენ. ახლა კი „თავდადაკლული“ ქართველების როლს იმ ბიძინა ივანიშვილის სათითაო თამაშობენ, რომლის წყალობითაც აღმოჩნდნენ საქართველოს პარლამენტში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ხომ ქართული ელექტორატის ერთ პროცენტსაც ვერ მიიმხრობდნენ!

არც შური მალაპარაკებს და არც ბოღმა, მაგრამ, მოდი, თვალში ჩახედოთ ჭეშმარიტებას. ამა წინათ გამოშვებულმა ფარულმა სატელეფონო ჩანაწერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ კოალიცია „ქართული ოცნებას“ აცემენტებულ ძალად

არა პოლიტიკური მოტივი, არამედ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ფუნოქნი გაანჩია, რომლის შიშითა და ხათრით უდიდესი და „ემეგობრებიან“ ერთმანეთს მასში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები. სინამდვილეში კი, მათივე საუბრებიდან ირკვევა, რომ ზოგს „გამილიონებდა“ ანტიტრესებს, ზოგს მაღალი თანამდებობა, ზოგს კი – ვიღაცეებზე ჯაფრის ამოყრა, სხვა დახარჩენი კი, თუნდაც წყალს წაუღია...

განა სწორედ ამ პრინციპით არ მართავდნენ საქართველოს სააკაშვილი და მისი ბანდა, რომელთა შავი საქმეები თანდათან ხდება ნათელი საზოგადოებისათვის. მათი „ერთობა“ კი იმით დასრულდა, რომ დამნაშავე მინისტრები და სხვა მაღალჩინოსნები ვითხოვიან გაიძურონ საქართველოდან და მარტოღმარტო მიატოვეს მათი „მამა და მარჩენალი“ სააკაშვილი, რომელსაც, ძალიან მალე, საკუთარ ავკაცობაზე მოუწევს პასუხისგება და თავისი გარემოცვის წევრების მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულებზე და...

სახეზეა კრილოვის ცნობილი იგავის „**Левбедь, рак да щука**“-ს ქართული ვარიანტი, რაც სამომავლოდ კარგს არაფერს უქადის ჩვენს პოლიტიკური ინტრიგებით გატანჯულ ქვეყანას.

ფაქტია, რომ, წავა თუ არა, ბიძინა, პოლიტიკური არენიდან, სახელდახლოდ „დაბმობილებული“ ეს პოლიტიკოსები დაუნდობელ ომს გაუმართავენ ერთმანეთს.

მსგავსი შემთხვევები არ გვქონია ჩვენს უახლეს ისტორიაში, თუ რა? იქნებ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით შექმნილი „მრგვალი მაგიდის“ ის „ღირსეული“ წარმომადგენლები გაიხსენოთ. ის ხალხი, რომელმაც თავის დროზე ეროვნული მთავრობა დაამხო და შევარდნაძე უხსენებელს ეგვა გვერდით ქვეყნის აორბე-ბა-გასხვისებაში, შემდგომში ასეთივე „წარმატებით“ მონაწილეობდა იმავე შევარდნაძის ვითომ დამხობაში და ე.წ. „გარდების რეგულაციაში“, მიზნ-შეურაცხადის აღხვევაში, დღეს კი სააკაშვილის და მისი „ნონაციონალები“ მესაფლავეებად ცხველინიან. აქ კი ახალ ხელისუფალს, რომ იტყვიან – „ათი თვალის და ათი ყურის გამოშმა სჭირდება“, სამთავრობაგამოვლილმა „ცხვირის ქურჭში გახვევლამ დემოკრატებმა“ მასაც რომ არ უგანო!

თანაც, განა სწორედ ზვიად გამსახურდიას პირადმა ავტორიტეტმა არ გაიყვანა საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში რამდენიმე ის ადამიანი, რომელთაც, ზვიადის თანადგომის გარეშე, პარლამენტში კარის დარაჯადაც კი არ დანიშნავდნენ?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, შეიძლება დღევანდელი მმართველი ძალისათვის სახელმწიფოს მართვის სადავეების მინდობა, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ზედამხედველობის გარეშე?

ჩემის აზრით – არ შეიძლება! მოდი, კვლავ ბატონი ალექსანდრე ზაზიას ხეიმოთხსენებულ წიგნს დაუბრუნდეთ. საერთოდ, ამა თუ იმ პოლიტიკოსის გამჭრიახობის განსახდების მთავარი ინდიკატორი გახლავთ ის, შეუძლია თუ არა მას 15 წუთით ადრე მინც განჭვრიტოს შექმნილი სიტუაციის საგარეულო შედეგი. როცა ბატონი ალექსანდრე ზაზიას გაადაკითხავთ, წამსვე დარწმუნდებით, რომ ამ გამჭრიახმა პოლიტიკოსმა არამც თუ 15 წუთით, არამედ 15-16 წლით ადრე განსახდრა ის უბედურებები, რაც შეიძლება საქართველოს დასტეკლოდა თავს, ჯერ ავადსახსენებელი ედუარდ შევარდნაძის, შემდეგ კი ასევე ავადსახსენებელი „ახალგაზრდა რეფორმატორების“ და მათი ბანდის მეთაურის, მუდამ სულელურად მომდინარე მიხეილ სააკაშვილის მოვალატურ საქმიანობის შედეგად, რომელთა ძირითადი მიზანი გახლდათ საქართველოს ტერიტორიების გასხვისება,

როგორც სახელმწიფოს დაკინება და საბოლოო განადგურება. სწორედ ამიტომ ჰქონდათ ნაცებს გამართული დაუნდობელი ბრძოლა მდიდარი ქართული ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რომელშიც სხვებზე არანაკლებ ენერგიულად მონაწილეობდნენ ახლანდელი „რესპუბლიკელები“ და მათი სატელიტი სხვა პოლიტიკური ძალები.

განა „რესპუბლიკელებმა“ დიდი როლი არ ითამაშეს სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში? ყოველი მოსალოდნელი უბედურების თაობაზე, ბატონი ალექსანდრე ზაზია, თავის წერილებში, დროულად აფრთხილებდა ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ხალხის ერთი ნაწილი ამ გაფრთხილებებს ჩვეული დარდმანლობით, ინდფერენტულად შეხვდა, მეორე ნაწილისათვის კი („ბოიშ მამითხოვა“, მაგრამ...) იგი იმ ქართული ანდაზის სადაგი გამოდგა, რომელიც შემდეგნაირად გემოდვრავს – „**შეაყარე კედელს ცერცვი**“.

და საერთოდ, რომ არ ვიცნობდე ბატონ ალექსანდრე ზაზიას, მომავალ მოვლენათა მისეული, ლამის დაუჯერებელი, წინასწარმეტყველები ჭკერეა იმ ეჭვის საბაზს მომცემდა, რომ 15-16 წლის წინ, საქართველოს დაქვევის გეგმის შედგენის ერთ-ერთი მონაწილე ისიც შეიძლება ყოფილიყო, არდაცხად, მართლაც დაუჯერებელია, რომ აღმანიშნა ასეთი ფილიტრანული სიხუსტით გამოთვალოს, დიდი ხნით ადრე, ქვეყნის პოლიტიკური კლიმატი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ როგორ გააფთვებთ ებრძოდა ბატონ ალექსანდრეს ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლება, აშკარა ხდება, რომ ძალმომრებით გამორჩეული ეს ორი ხელისუფალი ალექსანდრე ზაზიას იმ საშიშ კონკურენტს ხედავდნენ, რომელსაც შეეძლო მათი ისედაც არამდგრადი პოლიტიკური საფუძვლების მორყევა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ბატონმა ალექსანდრემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური პოლიტიკური ნაშრომი „**საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა**“, რომლის ანალიზი, ჯერჯერობით, არ შეუქმნია საქართველოს არცერთ პოლიტიკურ ძალას და რომელიც ასევე „**შეუმწვევები**“ დარჩა ჩვენი არაქართული ხელისუფლებისათვის.

აქვე მოვიყვანო ნაწვევებს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან, სადაც მას ჟურნალისტი შემდეგი შინაარსის შეკითხვას უსვამს: „**ბატონო ალექსანდრე, როგორი იქნება საქართველოსათვის 2000 წელი?**“

პასუხი ჭეშმარიტად დამაფიქრებელია: „**2000 წელი, ალბათ, ეკონომიკური კატასტროფის დაწყების წელი იქნება. 1990 წლიდან ქვეყანა საბჭოთა პერიოდში შექმნილი და დაგროვების ხარჯზე ცხოვრობდა. საყოველთაო კრიზისის პირობებშიც ამ მარაგმა რამდენიმე წელიწადს გაძლო. ხელისუფლებას ჰქონდა შანსი, სწორი ეკონომიკური პოლიტიკით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპი საბჭოთა პერიოდთან შედარებით 50-60 პროცენტის დონეზე შეენარჩუნებინა, მაგრამ იგი თითქოს სპეციალურად, მიზანმიმართულად ანგრევდა ეკონომიკურ პოტენციალს. ხელისუფლებამ მემკვიდრეობით ხალიდური აგრარული-ინდუსტრიული ბაზა მიიღო, გარდა ამისა, ვალად 2 მილიარდი დოლარი დაიდო; სისტემატურად იღებდა პუმანიტარულ დახმარებას. ასეთ პირობებში დიდი მონდობება საჭირო, რომ 4-მილიონიანი მოსახლეობა გაადაცაკო...**“

მართლაც წინასწარმეტყველები პროგნოზია, რომელმაც გავრძელება ჰპოვა უკვე სააკაშვილის ხელისუფლების პირობებშიც. ფაქტია, რომ ქვეყნის დაქვევის პროცესი იყო გვეგამომიერ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანი გახლდათ საქართველოს დაცლა ქართველებისაგან, რათა იგი უჯიშო გადაითქვია სასაპრეზო არენად

ექციათ. სააკაშვილის „**ახალგაზრდა რეფორმატორებმა**“ კალენდარულად და მენტალურად დაბერებულ შევარდნაძეზე ბევრად უფრო ენერგიულად გააგრძელეს ქვეყნის ნგრევა...

აქედან გამომდინარე, უეჭველია, რომ ბატონი ალექსანდრეს ნებისმიერი პოლიტიკური ინიციატივა მისი დევნის საგანი ხდებოდა – მას დაუწევს საკუთარი მანქანა, ფრიად საეჭვო ვითარებაში დაიდუპადედამისი, ხოლო მის ერთ-ერთ წერილში ასახულია ფრაგმენტი, როცა ელდარ შენგელია ვიღაცას ესაუბრებოდა ტელეფონით და ყურმილში ჩაჰყვიროდა: „**ჭაჭია აეროპორტისაკენ მიდის მანქანით და იქნებ დააპატიმროთ...**“

ფიქრობ, კომენტარი აქ ზედმეტია! ასევე წინასწარმეტყველები იყო ბატონი ალექსანდრე ზაზიას პუბლიცისტური წერილები საქართველოს ჩამოცილებული რეგიონების – აფხაზეთსა და სამჩაბლოსთან დაკავშირებით. ამ, ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებითაც, გარდა სახელმწიფოებრივი მიდგომისა, ბატონ ალექსანდრე ზაზიას საკმაოდ ანგარიშგასაწვეი პირადი განცდებიც აკავშირებს. თუნდაც ის, რომ აფხაზეთის უღამასეს ქალაქ ონაშირის სასაფლაოზე განისვენებენ მისი წინაპრები, რომელთა საფლავებზე სანთლების დანთების საშუალებაც დღეს მას არ გააჩნია.

მავნათების, აფხაზეთი და სამჩაბლო, შეიძლება მხოლოდ პრობლემის პოლიტიკური წარმოსახვის საგანი იყოს, ალექსანდრე ზაზიასათვის კი აღნიშნული პრობლემის მოგვარება იმ ქართული ოცნების ახდენის ნაწილია, რაც ადამიანის თავის სანატრელ ოდაბადეში დაბრუნებას, მიმქრალ კერიაში ცეცხლის ავიზიზებას და წინაპართა განსახვენების მოვლა-პატრონობას ნიშნავს.

სწორედ ეს გვაძლევს იმის მორალურ უფლებას, რომ აბსოლუტური ნდობა და თანხმობა გამოვუცხადოთ ბატონი ალექსანდრეს მიერ შემოთავაზებულ წინადადებას აფხაზეთსა და სამჩაბლოს პრობლემების სამივე მხარისათვის უმტკივნეულოდ მოგვარებასთან დაკავშირებით!

შეიძლება, ამ შემთხვევაში, „**პირადული**“ ბევრად წინ იდგეს, ვიდრე „**სახელმწიფოებრივი**“, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამგვარი „**პირადული**“ იწყება ჩვენი ადამიანობა, პატრიოტიზმი, სამშობლოსა და ტრადიციებისადმი ერთგულება, რომლის გარეშე ადამიანი არ შეიძლება ჩაითვალოს არამც თუ პოლიტიკურ მოღვაწედ, არამედ, საერთოდ – ადამიანად.

არაადამიანობის კლასიკურ ნიმუშად კი, საესებო საფუძვლიანად, ედუარდ შევარდნაძე მოგვჩინა და მისი პოლიტიკური შლეიფი – მიხეილ სააკაშვილიც!

მართალია საქართველოს პოლიტიკურ ცისიედურზე უკვე გამოიდარა, მაგრამ ქვეყანა, ალბათ, დიდი ხნით, მაინც ვერ დაიხსნის თავს იმ უბედურებებისაგან, რაც მძიმე მემკვიდრეობად დაგვიტოვა ჯერ ედუარდ შევარდნაძის მასონურმა, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის პროსომსურმა ხელისუფლებამ.

ამას კი, „**ქართული ოცნებასთან**“ ერთად, სრულად ახალი, პროქართული პოლიტიკური ძალის აქტიურობა სჭირდება!

ასე რომ, თქვენი ქართულ პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის სურვილი არ გახლავთ, ბატონო ალექსანდრე!

თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ ძალგიტო გასცეთ პასუხი საკრალურ შეკითხვას: „**რამ დაგვლუა? რა გადაგვარჩენს?**“

როლანდ ჯალაღანი, საპატიო დოქტორი, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი

# მობზაშრობანი

“სამზრჯანოელი გლეხი შინ”. – ჩემი მასწავლებელი გუბა. – აჭარის გლეხის მრისხანობა. – ფაცხის მორთულა: ბარდობა, ბუფიტი, სახლის ავჯი. – საზრდო ბუბანი. – რქის არის ბუბა ბუნდირი? – სულიერი მოთხოვნობა ბუბანი. – მისი ღარდი, მისი ეპონომი-ური იქნა. – რქის შემცვლელა სახე ბუბანი პირველყოფილ ბროლას ცხოვრებასთან? – ერთი ღარდი ბუბანი. – აგვილი ჩვეულება. – ბამოთხ-რუბა.

ქობის გვერდით გამართულ ბოსტანში გუბას ცოლის მიერ გულმოდგინედ გახედილ მწვანელ მშენებარე ამოუკვია თავი თხის ნაკელით გაპატივებულ ნი-ადვიდან. აქა ნახავთ: ცოტა პრასს, ცოტა ოხრაშუს, რეჰანს, წიწკას, წითელ მხალს; ამით გვერდით ორმოციოდე ძირი თუთუ-ნიცა სოფისა, საკუთრად გუბას მოთხ-ოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ბოსტანის გვერდით ხუთოდე სკა დგას ფუტკრისა. ამ ძვირფას მწერთან გაკეთ-ბული თაფლი წლითი-წლობამდე ჰყოფნის გუბას წვრილფეხობასა გამწარებულის პრის ჩასატკბარუნებლად. იმათი ნაშ-რომით ხანთელს ჩამოტყნის ხოლმე გუბა. ხანდახან, როცა სტუმარი მოუვა, ამავე სანთლით უკუნით მოცულ ფაცხას სინათლის მერთელ სხვის მოჰყენს ხოლმე-ისიც კარგია იმისათვის.

ფაცხა ორი აქვს გუბას, ერთსა თვითონ შეგვარება თვისი ცოლ-შვილით, მეორეში საქონელი უბია – ზამთარში. ორივე წყნელისგან არის მოწნული. ზევიდან გვიმ-რა მხურავს. მიუღ ფაცხას მარტო ერთგანა აქვს ღურსმანი: ამ ერთად-ერთი ღურსმნით გარედან კარის დასაკეტი კოჭია დაჭედული კარის ჩარჩოზე. სიდიდე ფაცხისა 12 კუბურ მხარს უდრის, ესე იგი 3 მხარი სიგრძე აქვს, 2 – განი და 2 მხარიც – სიმაღლე. კარი ორი აქვს: ერთი წინიდან და ერთიც იმის პირდაპირ – უკანიდან. სარკმელს გუბას ფაცხა მოკლებულია. ხოლო როგორც ჰაერი, ისე სინათლე კედლებში უხვად დატოვებულ ჭურჭრ-ტანებიდან შემოდის. მხოლოდ ზამთარში კედლები გარედან გვიმრით გაბურება, რომ, ცოტათიც არის, სიცივეს წინააღმდე-გობა გაუწიოს და შიდა არ შემოუშვას. ზამთარში ამ გვიმრით გაბურულ ფაცხას ცვეხლი ძალიან ადვილად იმსხვერპლებს ხოლმე. კიდევ მიტომ არის, რომ გლეხი რამდენჯერმე იკეთებს ასეთ ფაცხებსა. ისიც კია, რომ შრომა მის აშენებას დიდი

არ უნდა: ორი მარჯვე კაცი სამი დღის განმავლობაში მასალასაც მოამზადებს ფაცხისათვის და ააშენებს კედელს აქაური გლეხის იაფფასიან თავშესაფარს.

ჩემს მისვლაზე დიდი ფაცი-ფუცი შეუდგა ამ პატარა სამეფოს, სადაც თვითმპყრობელი გუბა იყო. ჯერ გუბას ვაჟმა შორიდანვე შეატყობინა გუბას ფანის (ოჯახს), სტუმარი მოგვყავსო. ფაცხის კარებში გუბას თანამცხედრე მომეგება და მოწივებით თავი დამიკრა. ხელში ახლად ნამტირალევი ქორფა ბაღლი ეჭირა, – პაწაწუნა განცვიფრებულ თვალებზე ცრემლი შეჰყინოდა. გვერდით უდგნენ და-ნარჩენი წვერნი ფანისი: უფროსი ქალი, ტანმაღალი, გაცრცილი, გამხდარი, თუმცა კი მარილი არ აკლდა მის ლაზათიან სახესა. ასე 10-11 წლისა თუ იქნებოდა. იმას მოსდევდა, კრუხის წიწკლებით სამი ნაგლეჯა ბავში, სულ ერთმანეთის მომდე-ვრო. გარეგნობით ძნელი გამოსაცნობი იყო, რა სქესს ეკუთვნოდა ან ერთი ან მეორე – ყველას ერთნაირი პერანგი ეცვათ, ნარჩისა, ნაფლეთობად ქცეული და ძალზე გაშავებული. ამ პერანგების სახელოებს აკლდა, განსაკუთრებით, სითეთრე: მიხეზი ამისა ის გახლდათ, რომ პერანგის სახ-ელოებს აქ ცხვირსახოცის მაგივრადაც ხმარობს მისი პატრონი...

ფაცხის შუა ალაგას, კერას თავით, ერთი დიდი ჯირკვი დევს, რომელსაც აქ “ბუტი” ანუ დედა-შეშა ჰქვია. ამ ბუტს მი-წობილი აქვს წვერილი ფინიხი, ანთებული. საკომლე ფაცხას არა აქვს. კვამლი ფაცხის ხან ერთ კუთხეს ეწვევება და ხან მეორეს და შიგთქონს უსულდმერთოდ სტანჯავს ხოლმე. დირეები და სახურავის ქვედა ნაწილი მურისაგან გაშავებულია. კერას იქით-აქით კველები დგას. კველა – საჯ-დომია ერთნაირი და მარტო აქეთი და და-სამეგრელოში შეხედება კაცი. ეს თავისე-ბური საჯდომი წარმოადგენს ძელს, რომელ-საც სიგრძე 1/2-2 ალაბამდე აქვს, განი 1/2-1/4 ალაბი. აკეთებენ პატარებს – ერთი კაცის საჯდომი, აკეთებენ დიდებსაც, რომელზედაც მწკრივად რამდენიმე კაცი ეტევა ერთად. ეს ძელი ქვევიდან გამოთლილია, იქით-აქით თავებში დატოვ-ბული აქვს ბრტყელი ფეხები. 1/4 ალაბის ან კიდევ ნაკლების სიმაღლის დგას კველა. ძალიან მდგნეა, ადვილად არ ტყდება, ხან-დახან, თუ მაგარი ხისაც არის, ორ-სამ მოდგმას მოიჭამს. ეგ არის, მარტო ფერს იცვლის, – დროთა ვითარებისა გამო ძა-

ლზედ შავდება. გარეცხვას თავის დღეში არ აღირსებენ, რაც უნდა ამაგდარი იყოს აქაური გლეხის კველა.

კერას ორი მხარე აქვს: ერთი სავაჟაკო (“საქომლო”) და მეორე – საქალეო (“სასოსო”). პირველ მხარეზე სხდებიან მამათა სქესის წვერნი აქაური გლეხის ფანისი, მეორეზე – ქალები. სუფრასაც ცალ-ცალკე უსხდებიან ქალები და კაცები. ეს წესი სასტიკად არის დაცული სამურზა-ვანოელის გლეხის სახლში. კაცობრიობის იმ ეპოქას გვაგონებს ეს განაწილება ოჯახისა, როდესაც ქალი უმწვერვალეს ზომამდე ჰყავდა დამონაგებული მამაკაცსა და როცა პირველი ვერა ჰქვდავდა თავის “უფროსთან” – ქმართან, ერთ სუფრას მო-ჯდომოდა. დასახელებულ “საქალეო” მხარეზე დიასახლისი (ამ სიტყვას აქ მნიშვნელობა ეკარგება) ჩამოჯდა კველაზე და მას მიუტუტა წვრილფეხობა ფაცხისა. მათს პირდაპირ, მეორე მხარეზე სამფეხა და სამკუთხოვან, გუბას ხელით გამო-ჩორქნილ, დგამზე მე მოვახვენე ხეული. ბავშვები ამოდ ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი, ცეცხლისაგან დამწვარ-დაბარწული წვივები, რომელთაც უსირ-ცხვილოდ თავი გამოეყოთ მათი მოკლე და დაგლეჯილ პერანგებიდან. დედაც, ბო-დიშის მოსახდელად, ტყვილად ეუბნებოდა დაიფარეთო. პირველმა შთაბეჭდილებამ ყველას გადაუარა, დამწვინდნენ, – “სტუ-მარ!” მიოდ დამე ჩვენთან იქნება და შეგვეკლება კარგად ვუყუროთო. თორმეტი თვალი ისარივით მე მომაშტერდა და თავით ფეხებამდე მუშტრის თვალთ სინ-ჯვა დაუწყო ჩემს ტანისამოსსა, ყველას ერთი კითხვა ეხატებოდა თვალბში: “ამ კაცს ჩვენთან რა უნდოდან?” მხოლოდ კვამლი მიხსნიდა ხოლმე მათი ცნობის-მოყვარე თვალებისაგან. ქარი დაუბრკოლე-ბლივ ატანდა ფაცხის ნახევრად ფარ-ღალა კედლებსა, ჰბორგავდა და გვაშ-ფოთებდა შიგთგომთა: კვამლს ხან ჩემკენ ელაღებოდა და ხან ჩემს ახალ ნაცნობებს აფორიაქებდა.

ფაცხის ორივე მხრივ თითო წვეილი გაჩორქნილი ფიცარია, მიჯრით მიწობილი. თუ გნებავთ ტახტი დავარქვათ ამ ფი-ცრებსა. აქ კი ტახტის დანიშნულება აქვს. მათ სიშიშველეს არა ჰფარავს-რა, – ადგ-ილობრივი მოწნული ჭილობი რა არის, იმასაც კი მოკლებულია გუბას განსახვენებელი. ერთ ალაგას მხარეით რადაც მოკმშული ეგლო. უფროსი ქალი

ადა და გაასწორა. ეს გაბრტყელებული, სიფრიფანა, ჯვარიმამის ლავაშივით, მჭ-ვარტლში ამოვლებული, დაფხრეწილი ლეიბი იყო. არც ბამბა-გამოყრილი საბანი იყო უკეთესი ღირსებისა. ერთი ბალიშიც ეგლო, უფროსო. როგორც ეტყობოდა ქათმის გაურჩეველ ბუმბულით უნდა ყოფილიყო სავეს. გაბრტყელებულ მუთაქას სიმინდის ფუქნი გამოცვენოდა...

აჰა, მივლი ლოგინი, რომელზედაც გუბა და მისი ცოლ-შვილი, დღიურ ვარამიან სასოწარკვეთილ და გამაფრებულ ბრო-ლის შემდეგ, თავიანთ ცოლველ ძელებს ასვენებენ, რათა, ღონე-მოკრებილი, მეორე დღეს განაგრძონ იგივე სასოწარკვეთილი სრბოლა ძაღლ-უმაღური ცხოვრებისა.

გუბას ფაცხის ერთ კუთხეში ტახტზე ზანდუკი იდგა, მჭვარტლის ფერისა. წინან-დელი წითელი ფერი საღებავისა აქა-იქ შერჩენოდა. ამ ზანდუკში ინახება გუბას ცოლის განმეულობა: ერთი სამშაურიანი თავიანი ანუ “ცახოცი”, ორ-ხუთშაურიანი ჩითისგან შეკერილი “საგარეო” კაბა, ერთი სამაბახიანი ჩუსტები, ოქმელ ხარაზის შეკერილი, შაურიანი სარკე, წითელ სამოგვე გადაკრული, – ის სარკე, აქაურს ქალებს სადმე დღეობაში ან ოქმში წასვლის დროს ჯობით რომ დააქვთ ხოლმე და რომლის შემწეობით, დანიშნულ ადგილამდე მოახლოვებისას, სადმე ბუქთან ან წყლისპირას თავის ფიზიონომისა ის-წორებენ. ამათს ვარდა, ამ გაცრცილი ზანდუკის რომელიმე მიმაღულ კუთხეში კიდევ უნდა დებუდიყო თაფლის სანთლის ნაჭერზე მიკრული ორშაურიანი თეთრი ფული, გუბას სახლის ერთ-ერთი წვერის ავადმყოფობის დროს ილორის წმინდა გიორგისათვის შეწირული და ავადმყოფის თავზე შემოვლებული, ორი ან სამი აბახი, ათას ალაგას გამოკრულ-გამონასკვილი, – “შავი დღისათვის” გამოსოვილი.

ჩემს მასხოვრობას ძალას ვატანდი, მინ-დოდა გამეთვალისწინებინა ამნაირივე ზან-დუკი ჩემი ძიძისა, ამნაირივე სიდიდისა, ამ-ნაირადვე დამჭვარტლული, ამნაირადვე, მუ-თაქის მაგივრად კუთხეში მიდგებული, ის ზანდუკი, რომელიც, ჩემს პატარაობაში, არა ერთხელ გადამიქოთებია – რა არის, ორიდ წურჩხელა ამოვაცოცო და სადმე ხის ძირას შეეკვეცე-მეთქი; პო, მინდოდა მო-მეგონებინა, კიდევ, ზევით ჩამოთვლილის გარდა, რა უნდა დებუდიყო ამ ნაცნობ ზანდუკში...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ყოველკვირული აგზაბი აფხაზეთიდან

### ალექსანდრე ანჭვაბი მშენებლებისაგან მიტ ხარისსხ ითხოვს

აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ალექსანდრე ანჭვაბმა ჩაატარა თათბირი, რომელზეც განხილული იქნა “აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური გეგმის განვითარების ხელშეწყობის კომპლექსურ გეგმა”. საან-გარიშო პერიოდი მოიცავს 2012 წლის 9 თვეს და მომავალი პერიოდის გეგმებს.

თათბირზე მოწვეული იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე რომან მუშა, მაპროფილებელ სამინისტრო-თა ხელმძღვანელები, ქალაქისა და რაიონების ადმინისტრაციის უფროსები, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულე-ბათა თავაკები, განათლების, ჯანდაცვის და სამშენებლო დაწესებულებათა წარ-მომადგენლები, რომელთაც დამსწრეთ წარუდგინეს ინფორმაცია მათდამი დაქვემდებარებულ წარმოება-დაწესებულე-ბებში მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა შესახებ.

დღეს მიმდინარეობს აფხაზეთის სახ-ელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორ-პუსების რემონტი, დამთავრების სტადიაშია სოხუმის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის და გაგრის სასამართლოთა შენობები. იწყება გუდაუთის სასამართლოს შენობის შეკეთება, რომლის შემდეგ დადგება გულრიფშისა და გალის სასამართლოების რემონტის რიგი.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რესპუბლიკური საავადმყოფოს

შენობის შეკეთების საკითხს, რომელიც ძალიან იქვეა რესპუბლიკის სამკურნალო ცენტრად. ანჭვაბი დაინტერესდა გუდაუთის საავადმყოფოში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით, ასევე ონკოლოგიური, ფსიქონევროლოგიური და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ობიექტებზე სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხებით. ამასთან, პრეზიდენტმა გააფრთხილა მშენებლობი, რომ ამ ობიექტების რემონტისა და სა-თანადო მოწყობილობებით ადჭურვისას გათვალისწინებული უნდა იქნა მათი სპეცი-ფიკა. მშენებლებმა აღნიშნეს, რომ ჩასა-ტარებელ სამუშაოთა ყველა ეტაპი უთანხმდება ჯანდაცვის ობიექტების მთავარ ექიმებს და მათაც, თავის მხრივ, დადებითად შეაფასეს მშენებელთა მიერ ჩატარებული სამუშაოები.

ასევე განხილული იქნა გაგრის საავად-მყოფოსა და სამხედრო ჰოსპიტლის რე-მონტის სამომავლო გეგმა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებებში დასაქმებული არიან პროფესიონალები, რომელთაც საკმარის დიდი დამსახურება გააჩნიათ ქვეყნისა და ერის წინაშე. ამიტ-ომაც არის აუცილებელი მათთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა. ეს კი, განსაკუთრებით, სამხედრო ჰოსპი-ტლის მედპერსონალს ეხება. ანჭვაბმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია გალის საავადმყოფოს ახალ შენობაში გადატანა, სადაც მას საშუალება ექნება გახსნას

დამატებითი სამკურნალო განყოფილებები. ასევე ჩატარდება კაპიტალური რემონტი სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოს შენობას, ახალი ათონისა და ბიჭვინთის პოლიკ-ლინიკებს, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის საავადმყოფოებს.

ანჭვაბმა მშენებელთა წინაშე დააყენა მათი კოორდინირებული მოქმედების საკ-ითხი, რათა, შემდეგ არ გახდეს აუცილებელი შესრულებული სამუშაოების მიმართულების შეცვლა და უკვე გარემონტებული ფართების გადაკეთება. “ჩვენ კარგად ვიცით ადგილე-ბზე შექმნილი მდგომარეობა და ამიტომაც მივიჩნევთ საჭიროდ ფართო სამედიცინო მომსახურების სპექტრის მქონე პოლიკ-ლინიკების ექსპლუატაციაში გაშვებას. ამას განაჩნია თავისი მეცნიერული გათვლები”, – აღნიშნა ალექსანდრე ანჭვაბმა.

შეესო რა გალის, გულრიფშისა და გუ-დაუთის კულტურის სახლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს, პრეზიდენტმა მშენებლებს ამოცანად დაუსვა, რომ მათთვის ნიშნულად იქცეს ოჩამჩირის კულ-ტურის სახლში ჩატარებული რემონტი. მან ასევე გაუსვა ხაზი ახალი ათონის, გაგრისა და ბიჭვინთის კინოდარბაზების დროულად გარემონტების აუცილებლობას. დამსწრეთა მხრიდან დადებითი შეფასე-ბა მიეცა უ. ჭანბას სახელობის აფხაზეთის დრამატული სახელმწიფო თეატრში, რუსული დრამატული თეატრის და აფხ-აზეთის სახელმწიფო მუზეუმის შენობებში

ჩატარებულ მადალხარისხიან სარემონტო სამუშაოებს. ასევე გამორჩეულად ჩაითვალა ბოტანიკურ ბაღში, სახელმწიფო არქივისა და ეროვნული ბიბლიოთეკის შენობებში ჩატარებული რემონტი.

ალექსანდრე ანჭვაბი ასევე დაინტერესდა სიმონ კანანელის სახელობის ტაძრის ეზოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებით და ხაზი გაუსვა იმას, რომ მომავალში ამ ობიექტს ექნება არა მხო-ლოდ რელიგიური, არამედ ტურისტული დანიშნულება. მშენებლებმა მტკიცე პირო-ბა მისცეს ქვეყნის პრეზიდენტს, რომ ეს სამუშაოები დასრულდება 2012 წლის ბოლომდე.

პრეზიდენტმა ასევე გაამახვილა ყუ-რადღება საბავშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე-ეს ობიექტები კი მიმოფანტულია ლამის ქვეყნის მთელ ტერი-ტორიაზე: სოხუმში, გულრიფშაში, გაღში, გაგრაში, გუდაუთაში, ბიჭვინთასა და ტყ-ვარჩელში. აქ კი მშენებლებმა სავსებით სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურეს, რადგან გაუმართლებლად ჭიანჭურდება სარემონტო სამუშაოები ოჩამჩირესა და ახალ ათონში. კრიტიკა ასევე დაიმსახურეს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმაც.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პირველი ვიცე-პრემიერი ინდირა ვარდანია და ვიცე პრემიერი ალექსანდრე სტრან-იჩინი.

ლიბიტრი ბაბუნია – “ორთაჭალქისის” გაყიდვით დიდალი “შავი ფული” გაირეცხა

ბოლო წლების გახმაურებულ საქმეებს შორის “ორთაჭალქისის” საქმეც ფიგურირებს – 2008 წლის 19 დეკემბერს ეს პეისი მოულოდნელად აუქციონზე გაიტანეს და გაყიდეს. მისი მფლობელები ქონების უკან დაბრუნებას ოთხი წელია ამოდ ითხოვენ, როგორც ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ამბობს, მათ საქართველოში ყველა სასამართლო წააგეს და იძულებული შეიქნენ, საჩივარი სტრასბურში გაეგზავნათ:

– “ორთაჭალქისის” მფლობელებს ეს პეისი გრძელვადიანი იჯარით ჰქონდათ აღებული 2019 წლამდე. ეს იყო მცირე პეისი, რომელიც თბილისის ნაწილს ელექტროენერჯით ამარაგებდა და შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, როცა დენი ითიშებოდა, ერთგვარი გენერატორის ფუნქციას ასრულებდა: ამარაგებდა მეტროპოლიტენს, პრეზიდენტის რეზიდენციას და სამთავრობო დაწესებულებებს. ეს იყო ერთგვარი სარეზერვო ვარიანტი, თუმცა არ იყო ისეთი საწარმო, რომელიც დიდ მოგებაზე მუშაობდა. თავის დროზე მას “ზარალქისი” კი დაარქვეს. მფლობელებმა “ორთაჭალქისში” დაახლოებით 5 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩადეს და მცირე შემოსავალს იღებდნენ. თუმცა ეკონომიკის სამინისტროს რატომღაც მოუნდა “ორთაჭალქისის” გაყიდვა, საკუთრების ნორმებისა და კანონების დარღვევით გამოაცხადა აუქციონი და 2008 წლის 19 დეკემბერს პეისი “ენერგოპროჯექტს” შეიყვინძა. ჩვენი აზრით, ეს იყო კიდევ ერთი კორუფციული გარიგება.

– შეგიძლიათ ამის დასაბუთება? – რა და როგორ მოხდა, ჩვენ ამას დავასაბუთებთ პროკურატურაში, როცა იქ ახალი ხელმძღვანელობა მივა. სხვათა შორის, ამ გარიგების მიღმა მალაღობი თანამდებობის პირები იდგნენ, ჯერჯერობით ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა და ვერ გავიჟღერებთ, მაგრამ ამ გარიგებაში მონაწილეობა ვინაობას საზოგადოება უმოკლეს ხანში შეიტყობს. ახლა რაც შეეხება “ენერგოპროჯექტს” – რა კომპანიაა ან რა ფუნქციით არის შემოსული საქართველოში, ჯერ ეს არის გასარკვევი. თუმცა, ვინც უნდა იყოს, არავის აქვს

უფლება, სხვას იჯარის შეწყვეტისა და სასამართლოს გარეშე ჩამოართვას ქონება და გამორეკოს ტერიტორიიდან. სხვათა შორის, კომპანია “ორთაჭალქისი” ქონების გადასახადს დღემდე იხდის იმიტომ, რომ ეს ქონება ჯერ კიდევ არ არის გადაბრუნებული. აიღეს და გაყიდეს 25 მილიონ დოლარად! ასეთი რამ წარმოუდგენელია თუნდაც იმიტომ, რომ 25 მილიონი დოლარი დიდალი თანხაა ასეთი პატარა პეისისთვის, რომელსაც “ზარალქისი” ეძახდნენ და რომელიც კარგა ხანს წამოვიდა იყო. ამიტომ, ჩემს კლიენტებს აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ გარიგებით დიდალი “შავი ფული” გაირეცხა. როგორც ჩანს, დაგროვილი იყო დიდალი ფული, რომელსაც ვერ აჩენდნენ და ბიუჯეტში ვერ შეჰქონდათ. სწორედ ამიტომ, უკანონოდ გაყიდეს სხვისი ქონება და ფული “ენერგოპროჯექტს” მეშვეობით ბიუჯეტში “ჩაასხეს”. კაცმა არ იცის, რა წარმომავლობისაა ეს 25 მილიონი დოლარი, როგორც ჩანს, მაღალჩინოსნებს ერთმანეთთან რაღაც ვადავლებზე ჰქონდათ და ასე მორიდდნენ. აი, ეს არის ყველაზე ცუდი და საგანგაშო და არა ის, რომ პეისები იყიდება და პრივატიზაცია მიმდინარეობს. ვის დასჭირდა 25-მილიონიანი ინვესტიციის ჩადება საწარმოში, რომელიც პრაქტიკულად ზარალიანი იყო? – ეს იგივეა, ახლარბიანი ტელეფონი იყიდო 5 ათას ლარად, თანაც ეს ყველაფერი მოხდა საკუთრების უფლების უხეში შელახვის ხარჯზე.

– როგორ, რა ფორმით ჩამოართვეს “ორთაჭალქისი” მის მფლობელებს? – როგორც წესი, იბარებდნენ პეისის ხელმძღვანელებს და სთხოვდნენ, ხელშეკრულება შეწყვეტეთ და გადით აქედანო. უფრო მეტიც, ეკონომიკის სამინისტრო ისე გათავსებდა, რომ მიყიდველს აუქციონის პირობებში წინასწარ ჩაუწერა: იყიდეთ და მეპატრონეებს ერთ თვეში გადაგვადეთ იქიდანო. რა იცოდა ეკონომიკის სამინისტრომ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა სახელმწიფო? ეს ხომ სასამართლო დავის საგანი იყო და იქნებ სასამართლოს ეთქვა, რომ ხელშეკრულება არასწორად ჰქონდათ შეწყვეტილი? ჩვენ თავიდანვე გავასაჩივრეთ ეს ყველაფერი, სულ სასამართლო დავებში ვართ, მაგრამ საქართველოში სამივე ინსტანცია წავაგეთ და მერე მივმართეთ სტრასბურის

სასამართლოს, სადაც 2 ათასი საქმეა საქართველოდან. 2 ათასი საქმე ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ძალიან ბევრია. ახლა აუკვე დაიწყო პროცესი ქიბარ ხალვაშის ქონების დაბრუნების შესახებ, რასაც მოჰყვება სხვა საქმეებიც... კი ბატონო, სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ ამ პროცესში არ უნდა მოყვენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დაწავრუდნ მანტიას მოისხამენ და ვითარებით ისარგებლებენ. თანაც, ყველაფერი უნდა ჩატარდეს კანონმდებლობის ფარგლებში და კანონიერი სასამართლოს მეშვეობით. ალბათ, კანონში ჩაიდება, როგორ უნდა დაუბრუნდეს ყველას წართმეული ქონება – ამის პროექტი უკვე არსებობს. ჩემი აზრით, ის, ვინც ნებაყოფლობით დაუბრუნებს ქონებას კანონიერ მესაკუთრეს, გარკვეული პასუხისმგებლობისაგან უნდა გავათავისუფლოთ, თუმცა,

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით არავინ უნდა დაისაჯოს. ვინც მართლა საშინელი დანაშაული ჩაიდინა, პასუხი უნდა აგოს, ამის პრეცედენტი ქვეყანაში უნდა შეიქმნას. რაც შეეხება “ორთაჭალქისის”, მალე ყველაფერი გაირკვევა, რადგან ჩემი კლიენტები უკანდახვევას არ აპირებენ. მალე გამოძიდავდება, როგორ შემოვიდა ეს მონსტრი “ენერგოპროჯექტი” ბაზარზე და როგორ ჩაიგდო ყველაფერი ხელში. სწორედ განუკითხაობის ბრალია, რომ დღეს ელექტროენერჯის გადასახადი ქვეყანაში ასტრონომიულად მაღალია. ბოლოს კი გეტყვით, რომ უკანონოდ წართმეული ყველა ქონება თავის მფლობელს დაუბრუნდება, ეს აუცილებელია ბიზნესისთვის, აუცილებელია ქვეყნისთვის, რადგან ეს გამოიწვევს სამუშაო ადგილების შექმნას.

ს.ჩიბოგიძე



ღია წერილი ზუგდიდელი (აწ ავაღსახსენებელი), ანუ, ვაი სირცხვილო!..

ძვირფასო ზუგდიდელეო! მოსახლეობის შეგნებულ ფენაჲ! ამ წერილის დაწერა და გამოქვეყნება მაიძულა არჩევნების პერიოდში ზოგიერთი ვაი-ზუგდიდელის მიერ გაკეთებულმა სასირცხვილო არჩევანმა, რამაც ყველა ზუგდიდელს ის სიამაყის გრძობა, რაც შორეული წარსულიდან გაგვანდა, გააცამტვერა და იავარქმნა.

რა იყო ეს? შიშის ფაქტორი თუ შეგნებულად უკეთესობაზე უარის თქმა, ამის გარკვევა ცოტა რთულია, მაგრამ მაინც მინდა მჯეროდეს, რომ უფრო შიშის ფაქტორმა ითამაშა გარკვეული როლი, რამეთუ პომპეუსს აქვს ნათქვამი: “შეწყვიტეთ სამართლიანობაზე ლაპარაკი მასთან, ვისაც მახვილი არტყია”, მაგრამ ამ ეპოქამ ხომ დიდი ხანია ჩაიღურის წყალი დალია. შიშმა ისე როგორ დაგზაფრათ, რომ მომავალზე, თქვენი შეიღების კეთილდღეობაზე უარი თქვით. ვაი, ზუგდიდელეო! მუდამ დათმობამ, სიბუქემ, ცალ კარში თამაშმა, პრობლემებში გაურკვეველობამ, ნახეთ, სანამდე მიგვიყვანა და როცა განდა კომარისაგან განთავისუფლების შანსი, თქვენ ჯიუტად აირჩიეთ საცდელფეხო და საშიში ბილიკი, მაგრამ, საბედნიეროდ, საზოგადოების შეგნებული ნაწილი არ აგეათ, არ შედგა თქვენს მიერ არჩეულ საუკუნო გზაზე. ამდენად, ვერ გაიარეთ თქვენს მიერ არჩეულ ბინძურ გზაზე, თუმცადა, თქვენი შავი საქმეები მაინც აკეთეთ! ნუ დაგავიწყდებათ ის ამაზრხენი ამბავი, რომ წლების განმავლობაში პროკურატურა იყო სასამართლოც, აღმასრულებელი

ხელისუფლებაც და ყოველივეს ბატონ-პატრონი. გაიხსენეთ, როგორი სამარცხვინო ტენდენციურობით ტარდებოდა სასამართლო პროცესები, რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაისაჯა განსხვავებული აზრის გამო. ბიორნეს აქვს ერთი შესანიშნავი გმობთქმა: “თემიდას ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევენ” და როცა დადგა დრო ამ მახვილის ჩაგებისა, თქვენ იმდენი ეცადეთ, რომ თემიდასათვის მეორე მახვილი მიგეცათ ხელში, რათა სიმართლისათვის უკეთესად მოგვეთათვა! ამ ყველა უსამართლობას, რაც ხდებოდა თქვენს რაიონში და მთლიანად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხომ ხელმძღვანელობდა თქვენს მიერ არჩეული “თხის” მოყვარული პიროვნება (გვარ-სახელს შეგნებულად არ ვაფიქსირებ გარკვეულ მოსაზრებათა გამო). თქვენი საქციელი არ იყო უბრალო შეცდომა (როგორც დღეს მრავალი თქვენთაგანი ამტკიცებს), ან დაუდევრობა. ეს ჩვეულებად გექცათ, რაც განუკითხაობის წლებში გავლენით ღრმად დამკვიდრდა თქვენს შეგნებაში და აგრძელებთ დინების საწინააღმდეგოდ ცურვას, მანამ, ვიდრე მთლიანად არ ჩაიძირებით. განა საკადრისია, მიხნად გქონდეთ დასახული, რომ მთელს საქართველოს დაკინებულ, უარყოფით ასპექტში წარუდგინოთ ჩვენი ქალაქი? ბერნარდ შოუს თავის პრობლემურ ნაწარმოებში “ადამიანი და ზეადამიანი” დონ ქუანის სახით მითითებულ მონოლოგში აქვს ასეთი სიტყვები: “განსჯა არავის ეპიტანება, მაგრამ ცხოვრებისათვის, იმ ძალისათვის, რომელიც ადამიანის უკან

დგას, მეტად საჭიროა განსჯა, მის გარეშე ხომ ადამიანი სიკვდილის ჯურღმულებში გადაიჩეხება”. სწორედ ამ განსჯის, ცუდიდან კარგის გამორჩევის უნარი გაქვთ დაკარგული და არა შეზღუდული. და ამიტომაც გადაიჩეხეთ ჯურღმულში, რაც ნათლად დაადასტურა თქვენმა არჩევანმა. აზრის ტერორმა და მონოპოლიზაციამ, გასსოვთ, წარსულში რა “სიკეთები” მოგვიტანა და ნუთუ გონება ისე გაქვთ შეზღუდული, რომ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეთ და შეეცადეთ შავის თეთრად წარმოჩენა. თქვენი არჩევანით გამოავლინეთ გაუანად-იხებელი მოქმედება, განუხველობა და იმპულსური რეაქცია, რაც თქვენსავე ქალაქელებს მუდამ ჩამოურევს სირცხვილის ლაქად რჩება და მთელი ცხოვრების მანძილზე წყველა-კრულვით გაჰყვება თქვენს შთამომავლობას. თქვენი საქციელიდან გამომდინარე, მახსენდება სეთურისაგან დატყვევებული ბრბო, რომელთაც დათა თუთაშხია მიმართავს: “ასე რამ დაგაბრმავათ და დაგაბრმავათ, თქვე უბედურებო!” ეს მიმართვა ზედგამოჭრილია თქვენთვის და ამით ყველაფერია ნათქვამი. და ბოლოს, თქვენ, ვინც ამ წერილში ხართ ნაგულისხმევი და ვისაც გეხებათ, გთავაზობთ ენის გასატყვის: “შენი თხაი, რქაგრეხილი, ჩემსა თხასა რქაგრეხილსა, რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ერქაგრეხილბოდა”, რაც შეგიძლიათ მუსიკალურ კლიპად ჩამოაყალიბოთ და დითირამად მიუძღვნათ თქვენს რჩეულს!

**ვაჰა თქვანიანი!**  
ათეჯგუხა საონჯლორო დღას მითინც ვაღოლაშუ, ჭკუაქ დღასი ვამაშისუ დუც მევოგანთ კიდალასუ. ჩქინ ზისხირიშ მამუშაღცუ ხონარს ვარხენტ – ელურეთუ, ოწოხოლე ვებჯინეთუ, ჯგირ დო ფურცუ ვებჩინეთუ. მარა ირკონ ეჯგვარ ვარე თეშ შურ მიდგუნა, ხოლოო შევეფცუ, კორიშ-კორი ბრელი პუნა ქუბუაღე მა თინეფცუ. ჩქინ ზისხირი მიდგაქ შუნი ვაბირუნცუ ორჩინელცუ, ყულ დო ილორი გაჭყორუ ვედიტენცუ მოცილეუთუ. ღორთთიშა ვეინაღე, ათენეფი ჩამოცხინესუ, რინას ფასიქ ქემიანუ გეგემუან ორჩინელქუ. თენა არძოს უჩქუდასუ მაბირაფ დო მარჩქილესუ, ჭურა წყარქ ირო ვეღანც, ბოლო ვაულუ მოცილესუ. ტერეშ სასლაშ ელარინა, ნამიდგაქუ იშქიდეთუ, ვაი ახავაი თქვან ცოდა იშო დუდი დიშქვიდეთუ. კორის მუჭო აკათუთუ, გლახათუ რე თქვანი სამე, ჯარალუს ვაგშქართენა დუდ ჯას ოკო მოკატახე. ლისმარც წვენჯი ვაულუდა დღასუ ვემგაგინე ჯაშა, დუდი ხოლო ვაულუდა იტორუე ოკო ყვაშა. აჭი ყვაშა იტორქეთუ თქვა “მეთხალეფი” – უბედური. კორი ირო დოიმახუნა: მუჭო ორეთ უნდღეურთ. სამარგალოშ საოხჯდორო, სოურე მორთით კილაციოთუ, თქვან უტვინო გიშნაგორათ არძოქ დუღას ქინოციოთუ.

როზმირ გოგენია, ზუგდიდი

როზმირ გოგენია, ზუგდიდი

# სააკაშვილი ინტელიბენციაზე ტერორს ანხორციელებდა



ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეში, სააკაშვილის სამუშაო კაბინეტს დიდი ქართველი მოღვაწის, ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ამშვენებს.

არაერთხელ დაფიქრებულვარ, ადამიანი, რომელიც გაუგონარ ზეწოლას ანხორციელებდა ნიჭიერებაზე, აბუხად ივლებდა შემოქმედებით ინტელიბენციაზე, დაშალა და გააბითურა ქართული მეცნიერება და ხელმოკლე, გამოხიზნულად და გააზრებულად ზურგია აქცია ყოველგვარ ჭეშმარიტს, ნათესავეს არ გაჩერებულა ილიას პორტრეტთან და არ დაფიქრებულა იმ შეკონკრეტებულ რითაც დიდმა ილიამ დაგე- მოძღვრა...

თუმცა მან გელათის წმინდა სავანეში საზიაროდ დაღო საპრეზიდენტო ფიცი და დიდი მამულიშვილის ანრდისის გარემოცვაში გააქურდა საკუთარი სურვილები... თუმცა არც ის შეასრულა.

სწამს სააკაშვილი გაორებული ადამიანია. თორემ ამდენ უგუნურებასა და დანაშაულს არ ჩაიდენდა.

საქართველოში კი არა მის ფარგლებს გარეთაც უწყით ილიას შეგონება „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირველი დამხობა, გათასხიერება, გაწაფლება იქიდან დაიწყო, როცა იგი თავის ისტორიას იფიქრებს, როცა მას სსოფნა ეკარება თავისი წარსულისა, თავისი ყოფის ცხოვრებისა აღმოფხვრა სსოფნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დაარღვევისა და მთლიანად წარწყმედისა“.

ეს საშუალომედიად საგონებანი ნააზრვეი სააკაშვილს რომ ახსოვდეს, არ ჰკადრებდა საქართველოს შემოქმედებით ინტელიბენციას „ჩარეცხილები“. ამით, იმ ბრიყვმა, სულში ნააფურთხმა იმ ადამიანებს, რომლებმაც მხრებით ზიდეს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურა. ზიდეს ამაყად. თავაწულებმა. საკუთარი სამშობლოს სიყვარულით აღტკინებულმა. თანაც საბჭოთა რეჟიმის მკაცრი ცენზურის პირობებში.

ეს ადვილი საქმე არ იყო. უვიცობაზე მეტია „ჩარეცხილი“, უწოდო საუკუნის ნაწარმოების ავტორს, ჭაბუა ამირეჯიბს, სახელგანთქმულ მსახიობს თორე მედინეთუხუცესს, რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს რომან რურუას, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს, აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძეს და უამრავ უამრავ დავაწმოსიდ ადამიანს, რომლებსაც საკუთარი ნიჭიერებით, ღონის წილი მიუძღვით

ჩვენი კულტურის, მწერლობის, მხატვრობის, მეცნიერებისა და სპორტის მსოფლიოს გაცნობაში.

ნორმალურ პრეზიდენტს, რომელსაც საკუთარი ქვეყანა უყვარს, მისი ხალხიც უნდა უყვარდეს, პატივს უნდა მიაგებდეს მის გამორჩეულ ნაწილს. მათ „ჩარეცხილებს“, კი არ უნდა აკადრებდეს, არამედ როგორც ბრძანებს ილია, ხიდად უნდა გამოეყენებინა მომავალი ღირსეული თაობების აღსაზრდელად. მაგრამ მან ილიასეული სიტყვა „გათასხიერებულ“ მიიკრა შუბლზე და ასე დაასრულეს ალბათ სიცოცხლეს, მხოლოდ ის კი არა, მთელი მის დამნაშავეობის წუძემში დაშლადი „ნაციონალიზმი“.

საკაშვილსა და მის ხროვას მოსწონდა თუ არა, ერს ვინც ყავდა წინაპრებდა და ვისაც უფალმა არგუნა უფროსი თაობად ყოფნა, ეს განგების ნებაა. მათ დამსახურეს მივაგოთ პატივი, მათი ასაკის, მათი ჭკადრის, მათი სიღარიბისის გამო.

საკაშვილის ბნელი გონება ცხრა წლის განმავლობაში ვერ ჩახვდა რომ მთავარი ადამიანია ქვეყანაში და არა ქვა და ღორღით აშენებული სასტუმროები და რესტორნები, რომლის სარგებლობის საშუალება მხოლოდ „ნაციებს“ ჰქონდათ.

როდის იწყება ადამიანის გადაგვარება? როცა უგრძობია, უგულო და სულ ბინძურია. როცა ქვეყანაში განუკითხაობის, ყველაზე წმინდის შეზღაღვის, უსამართლობის ატმოსფეროა დაქვიდრებული. და ვინ იყო ამის მამამთავარი?

...პრეზიდენტი!

წინაპრებმა, იატაკქვეშეთში, უმაკაცრესი რეპრესიების პირობებში გამოცდეს პატრიოტული წიგნები, დაიწერა მოთხრობები და ლექსები, გადაღებულ იქნა ეროვნული სულისკვეთებით გაუღენთილი კინო-ფილმები და გაიკლერა სიმღერებმა, რომელმაც ადარტი- ინა მოსახლეობა.

მართლაც გონებაზე ზღუდული უნდა იყოს ადამიანი, ვერ გააცნობიეროს, რა როლი იტვირთა ქართველმა ხალხმა და მისმა საუკეთესო ნაწილმა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ მათ. ვისაც სააკაშვილმა აკადრა „მუმიები“ და „ჯოჯოები“ ხართო, სწორედ მათ იტვირთეს 1956 წელს ქართველთა ღირსების დაცვა. სწორედ ისინი გამოვიდნენ ქუჩაში და სიცოცხლის ფასად დაიცვეს 1978 წელს დედა ენა, სწორედ უფროსმა თაობამ შესძლო 1989 წლის 9 აპრილს ოკუპანტთა ტანკებს გადადგომოდა და სისხლის ფასად მოეპოვებინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა

ეს ღირსებაა მათი, ეს გამირობაა მამათა თაობის.

საბჭოთა პერიოდში რასაც ოკუპანტი აკეთებდა, მოსმენებთ, შანტაჟით, საყრობიდეების გადაგვებით, იმას აკეთებდა სააკაშვილი საკუთარი ხალხის მიმართ.

ბრმა კია არა, მტერი უნდა იყო მწერლებს, შემობა გაუსხვისო და გამაპანდურო ნაჩუქარი სახახლიდან. წართვა შემოქმედებით სახახლად მუსიკოსებს, მხატვრებს, მოუშალო ბუდე იმ ადამიანებს, სადაც ერთად

შეგებას ახერხებენ და ისევ და ისევ ქვეყნისა და ერის ღირსებისა დასაცავად და სასიკეთოდ.

შემოქმედებით ინტელიბენცია ელის ახალი ხელისუფლებისაგან უსამართლობის დასრულებასა და სამართლიანობის ზეიმს.

საკაშვილს მინდა დაეუსვა შეკითხვა ვინ არის მისი დროის მწერალი და შემოქმედელი... დეისადე!.. შებრუნებული აზროვნების ადამიანი, რომელმაც შეურაცხყო ჩვენი სიწმინდე და „გასაბერი ანგელოზი“ დაჯდაბნა? ან ზაზა ბურჭულაძე?... ეს სექსუალური მანიაკი, რომელიც შედეგს გეთავაზობს „მი-გება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყეებით შემობარ უნიტაზზე ჩამოვვლები“.

აი, რა მოიტანა მისმა გარყენილმა პოლიტიკამ. ცხადია როგორი თაობა მოსწონს... უხუცო. უკულტურო, დედის შარდზე ყნოსვა დაკეშილი. მხოლოდ გართობის მოყვარული და ხორციელი სიამით გატაცებული. თუმცა ყვარა შესძლო ყველახთვის გონების არევა, უანსალი თაობა წინაპრთა ნაამბარს ამაყად იცავს.

ვერ ხედავდა რას დაემგავსა სატელევიზიო გადაცემები? რა სიბილწე იფრქვეოდა, რა უხამსობამ მოიცვა ორად გაყოფილი ქვეყანა?... მოსახლეობის უმრავლესობამ უარი თქვა აღვირახსნილობაზე. მოელის განიწმინდოს ქვეყანა ფაშისტური იდეოლოგიისაგან.

გერმანიაში მოქმედებდა ნაციტური ორგანიზაცია, სააკაშვილის ვაი პარტიასაც, ხომ ნაციტების სახელწოდება აქვს? იქ ნაციტებმა გეგმაზომიერად წართვეს ქონება მოსახლეობის დიდ ნაწილს, ერთ დამეში დაანგრეს და დაწვეს 1400 სინაგოგა, ქვეყნიდან გააძევეს შემოქმედებით ინტელიბენციის ღირსეული წარმომადგენლები, დაწვეს თომას მანის, ბერტოლტ ბრეჰტის, ფრანკ კაფკას, ერიკ მარია რემარკისა და სხვათა ნაწარმოებები.

რა მოუვიდა პიტლერს? თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე!

არის კი განსხვავება ფაშისტი ნაციტების იდეოლოგიასა და ქართული ნაციონალიზმის მოქმედებას შორის? არა. მათ დაანარჩეთ არაერთი ქრისტიანული ტაძარი. დაღწვეს ტელევიზია. ჩამოართვეს ასობით ადამიანს მათ მფლობელობაში არსებული კერძო საკუთრება, ქვეყნიდან გაყარეს ინტელიბენციის საუკეთესო ნაწილი, გააუპატიურეს პატიმრები... ქვეყანაში დაამკვიდრეს უკანონობის, უსამართლობის, შიშის, პოლიციური რეჟიმის ატმოსფერო და უხაროდათ, რომ პარტაშებდნენ.

ერთი რამ აშკარაა, ანუ კანონზომიერებაა. ვინც გამიჯნა ხელოვანთ, ვინც შეზღადა, დაუპირისპირდა ერის სულიერი ღირებულებათა შემქმნელთ, ის ვერასოდეს იმარჯვებს. როგორც აქორნილი ზღვის ტალღები შეასკვება კლდის ნაპრაღს და იფშენვეა, ისე დაიფშენვეა ყოველივე ცდა ერის წარმართველი ძალის უგულვებელყოფისა.

კიდევ ერთი გულსატკეპარი, რომელიც ნაციონალიზმის ბრიყული ქმედებას შეეწირა. ეს გახლავთ რუსული ენის სწავლების შეზღუდვა სკოლებში. ადრე რუსული ენა

მეოთხე კლასიდან ისწავლებოდა, ახლა სასწავლო პროგრამით მხოლოდ მეშვიდე კლასიდანაა ნებადართული. არაა გათანაბრებული სხვა ევროპულ ენებთან.

შეიძლება პრეზიდენტს მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელი არ მოსწონდეს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ რატომ უნდა გაწყვიტოს სულიერი და კულტურული ურთიერთობა დიდი შესაძლებლობების მქონე მეზობლებთან? და საერთოდ რა შუაშია საერთაშორისო ენის შეზღუდვა? ნაც-მომხრობის პოლიტიკურმა ელიტამ განახორციელა მენტალური რევოლუცია, ეს სიძულვილის აშკარა გამოვლენებაა, იმ ენისადმი, რომელსაც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში სწავლობენ, რადგან იმ ხესახელმწიფოს ევრაზიაში მომეგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია, ეკონომიკური, გნებავთ სამხედრო თვალსაზრისით.

მასხოვს მამის ნაუბარი. როცა საბჭოთა კავშირი ფაშისტებს ებრძოდა, მაშინაც არავის მოსვლია აზრად სკოლებში აუკრავდა გერმანული ენის სწავლება.

დანაშაულად მიამანია მსოფლო დონის კლასიკოსების: პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის და სხვათა ბიოგრაფიებისა და შედეგების ამოღება სასწავლო პროგრამიდან, ცნობილი მწერლების: პასტერნაკის, ვეტუშენკოს, ახმადულინას ნაღვაწითა და მათ ნაცვლად შედარებით ნაკლებად ცნობილი შემოქმედთა ნაწარმოების შეთავაზება მოსწავლეებისათვის.

ცხადია, მუშტის პოლიტიკამ ჭეშმარიტ ღირებულებათა დამსხვრევამდე მიიყვანა ქვეყანა.

ცხოვრების არსი სიკეთის ქნა უპირველესად. ხელოვნება კი ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე არა მარტო იმიტომ, რომ სიამოვნებას გვანიჭებს, არამედ ხელოვნების მიერ მონიჭებული სიამოვნება წარმოადგენს გზას ზნეობისაკენ.

როცა უხნეობა ერევა ყველაზე ფაქიხ და ცოცხალ ორგანიზმში, მაშინ, მისი შედეგი არის ის, რაც მოიძვა სააკაშვილმა.

ქვეყანა არ არის მხოლოდ დასახლებული პუნქტი, არამედ იგი ხალხის სამშობლოა. გურამ შარაძის. ზურაბ ჟვანიასა და სხვათა მშობელი და გამზრდელი. რომლებიც სხეებთან ერთად უმოწყალოდ ჩაასვენეს საფლავში. ნიჭიერია თუ ნაკლებ ნიჭიერი, შემოქმედი, იგი გარკვეული დონის საგანძურს ქმნის. საგანძური კი ძვირფასია და ქვეყანა მზაობას უნდა ავლენდეს, მიიღოს და დაიცვას იგი, რადგან ხელოვნება სულის გაზაფხულის მსახურია.

მადლობა უფალს დასრულდა ქაოსი და უგუნურება.

**ბორის ღვინიაძე,**  
**ა.კ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

„ფერეროს“, რომელიც ასიათასობით ჰექტარ მიწას ფლობს სამეგრელოში, კომერციულმა დირექტორმა ნიკა დალაქიშვილმა ამ წელიწად-ნახევრის წინ სასამართლო პროცესზე დიად განაცხადა, თუ როგორ მისცა მან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს დიდი რაოდენობის თანხა ქრთამის სახით ზაზა გოროზიას, მიწის გადაცემის სანაცვლოდ. ამ აღიარებითი ჩვენების გამო ნიკა დალაქიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ზაზა ბოროზია კი დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ.

## „სამეგრელოს არ ეშვება ბოროზია, რომორც რკინას – კოროზია“

ასეთი ირონიული ფრაზით გამოხატა სამეგრელოს მოსახლეობამ ზაზა გოროზიას ხელახალი გამორჩენა რეგიონში გუბერნატორის რანგში. ის 2005 წლის ივლისში დაინიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულად, 2011 წლის ოქტომბერში გადაყვანილ იქნა სოფლის მეურნეობის მინისტრად, ხოლო 2012 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა ისევ მოუგონა სამეგრელოს.

რა დამსახურებებისთვის? – ამ კითხვას სამართლიანად სვამს მოსახლეობა, რომელსაც ზაზა გოროზიამ თავი დაამასხოვრა, როგორც გაიძვერა და თადლითმა ადამიანმა, ამიტომაც მის გამორჩენას ხალხი გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდა.

„გაპროტესტებ გოროზიას გუბერნატორად დანიშნვას და არ მინდა იმ ქალაქში ცხოვრება, რომელშიც ის იმუშავებს. ვითხოვ თავშესაფარს თბილისში. გოროზია არის კორუმპირებული ბანდიტი. მე მეშინია მისი. მე ორჯერ დამეჯახა მანქანა. თუ მოეკვდი, ეს არ იქნება უბედური შემთხვევა, ეს იქნება ზაზა გოროზიას მიერ ჩადენილი დანაშაული“, – აცხადებს 80 წელს გადაცილებული ქალბატონი, მეფრინველეობის ფაბრიკის ყოფილი მფლობელი ვიორ ცხადია. ის, მეოთხე წელია, ფაბრიკის ჩამორთმევის გამო გამოძიებას თითხვს. მისი თქმით, ფაბრიკის ჩამორთმევა ზაზა გოროზიას სახელს უკავშირდება და ის ამას არც აქამდე მალავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზაზა გოროზიაზე გადაიტყობული იყო ყოფილი საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია,

რადგან რეგიონში ერთმანეთს პირველობაში ეცილებოდნენ, ორივენი მრავალი წელი წოდდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სისხლს და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ. ახალაიას – პრეზიდენტი, ხოლო გოროზიას ადგიზელი მფარველობდა. ახალაიებმა შეძლეს და ზაზა გოროზია მოაშორეს სამეგრელოს, რასაც მოჰყვა მისი სოფლის მეურნეობის მინისტრად გადაყვანა. ახლა, როცა ახალაიების კლანი აღარ არსებობს, პრეზიდენტმა ის ისევ გამოუშვა სამეგრელოში, თუმცა ის ყოველთვის აქ იყო, რადგან გურამ მისაბიშვილი რეგიონის გუბერნატორი მხოლოდ ფორმალურად იყო და ყველაფერს ისევ მინისტრი ზაზა გოროზია განაგებდა, რაზეც ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ადგილობრივი გამგებობებისა და საკრებულოების წარმომადგენლები, კულუარებში, რა თქმა უნდა. სოფლის მეურნეობის მინისტრობის პერიოდში ის სულ დაჰყვებოდა პრეზიდენტს ზუგდიდში და ყოფილი ყინულის სასახლის ტერიტორიაზე სასტუმროს აშენებით იყო დაინტერესებული.

როგორც ცნობილი გახდა, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ზუგდიდში თხილის ქარხანა „არგონათისის“ სარდაფში არჩევნების გამაყვებელთა შტაბი ფუნქციონირებდა. „ნაციონალიზმის“ ამ საიდუმლო შტაბის ერთ-ერთმა წევრმა, პროცოდორენმა ხვინია კორდანიამ არჩევნების გამაყვებელთა შორის ზაზა გოროზიაც მოიხსენია, უფრო მეტიც, ამ შტაბს თვით ზაზა გოროზია ხელმძღვანელობდა. აი, ამით იყო დაკავებული სოფლის მეურნეობის მინისტრი

და ახლა ისევ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი. საჯარო მოხელეებიდან ზაზა გოროზია მაღალი პრემიებითაც გამოირჩეოდა. 2011 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში პრემიის სახით მან აიღო 22.125 ლარი, ხოლო 2010 წელს კი ხელფასების, პრემიებისა და მივლინების სახით ბიუჯეტიდან 120 ათასამდე ლარი მიითვისა.

მან ასევე დიდი მოვება ნახა სამეგრელო-ზემო სვანეთის მიწების მისაკუთრებითა და მეგრე ასმაგად ამ მიწების ინვესტირებისთვის მიყიდვით. ამის ნათელი დადასტურებაა იტალიურ ფირმა „ფერეროსთან“ დაკავშირებული გამბაურული ამბავი. „ფერეროს“, რომელიც ასიათასობით ჰექტარ მიწას ფლობს სამეგრელოში, კომერციულმა დირექტორმა ნიკა დალაქიშვილმა ამ წელიწად-ნახევრის წინ სასამართლო პროცესზე დიად განაცხადა, თუ როგორ მისცა მან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს დიდი რაოდენობის თანხა ქრთამის სახით ზაზა გოროზიას მიწის გადაცემის სანაცვლოდ. ამ აღიარებითი ჩვენების გამო ნიკა დალაქიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ზაზა გოროზია კი დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ.

ეს მცირე ჩამონათვალია ზაზა გოროზიას „საქმეში საბმირონიანად“, რომელიც მას თავისი 7-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე გაუკეთებია, ამიტომაც სამეგრელოს მოსახლეობის სურვილია, როლანდ ახალაიაც და ზაზა გოროზიაც საერთოდ მოაცილდნენ სამეგრელოს.

**ლალა ძირია,**  
**ზუგდიდი**

# ყინული დაიძრა?! ვინ იქნება ახალი მოწმე და რა ბაირკვევა ზურაბ შვანიას საქმის ხელახალი გამოძიებისას?

**როგორც ირკვევა, შვანიას ბურუსით მოცულ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გია ბარამიძეა**

**ქართული საზოგადოება სკანდალური ვიდეომასალის გამოქვეყნებას ელოდება ბობა შვანიას: “ზურაბ შვანიას სიკვდილის კვალის წაშლასა და მის უბედურ შემთხვევად გასაღების ინსცენირებაში მონაწილეობდნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბარამიძე, ადგიშვილი”**

როგორც გაირკვა, საქართველოს მთავარი პროკურატურა, პირველ რიგში, ზურაბ შვანიას გარდაცვალების ბურუსით მოცულ საქმეს შეისწავლის. როგორ აპირებს პროკურატურა საქმის გახსნას, სად არის ძაფის ბოლო, რომლის გამოწვევა გამოძიების გორგალს ადვილად გახსნის? ჟურნალისტები ამ თემით დაინტერესდნენ.

## ბარდაცვალების ვერსიები

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დღემდე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. ითქვა, რომ ზურაბ შვანია შავნაბადაზე მოკლეს, გვამი კი საბურთალოს ქუჩაზე მიიტანეს. ისიც გავიგეთ, სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრს საფერფლე ესროლა და შემთხვევით შემოაკვდა. ახლახან მისი დახრწობის ვერსიამაც გაიჟღერა – შვანიას ყოფილმა თანაგუნდელმა ხათუნა ხოფერიამ განაცხადა, რომ იცნობს ადამიანს, რომელსაც ქონების დათმობას აიძულებდნენ და წამების დროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაემუქრა, ამ ხელებით დაეხრწებოდა შვანია და შენ რისი იმედი გაქვს? ხოფერია მზად არის, ამ პირის ვინაობა პროკურატურას დაუხსნავდეს. პრემიერ-მინისტრისა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის გარდაცვალების ყველაზე არგუმენტირებულ ვერსიად კი მაინც რჩება მოწამულა რკინის პენტაკარბონილით, რომლის ადამიანის ორგანიზმში მოხვედრას მძიმე შედეგი მოსდევს და ნახშირბადის მონოქსიდით გაგუდვისგან არაფრით განსხვავდება... გაერცვლებული ინფორმაციით, ზურაბ შვანიას ტუჩთან აღენიშნებოდა ნაჭდევო, სისხლნაქვითი, ხოლო იუსუფოვის – ნემსის გაკეთების არაერთი კვლი.

## ვის დაჰკითხავს პროკურატურა?

ზუსტად ისიც არაფერ იცის, 2004 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრებმა ვისი მითითებით დაიქირავეს ბინა საბურთალოს ქუჩაზე. ფაქტია, რომ სახეთ “სიტყვა და საქმის” 6 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ეკა კიკიანის განცხადება ბინის გაქირავების თაობაზე; მას (როგორც თავად ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს) ზურაბ შვანიას დაცვის წევრი იმ დღესვე გამოეხმაურა და შეუთანხმდა კიდევ. იმავე გახეთის 8-9 დეკემბრის ნომერში კი (სხვათა შორის, ზურაბ შვანიას დაბადების დღეს) ისევ გამოქვეყნდა იმავე ბინის განცხადება, რომელშიც ერთი (არცთუ უმნიშვნელო) ინფორმაცია იყო ჩამატებული – ბინაში არის “ნიკალას” ფირმის გამათბობელი, არადა, 3 თებერვალს, ზურაბ შვანიას დაღუპვის დღეს, თბილგაზის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაზის გამათბობელი 2-3 დღის დამონტაჟებული იყო და ბათქაშს გაშრობა ვერ მოესწრო, ასე რომ, როგორც ეკა კიკიანის, ასევე ზურაბ შვანიას დაცვის ყოფილი უფროსის – კობა ხარშილაძის და დაცვის წევრის – მიხეილ ძამაძიას ხელახლა დაკითხვამ შესაძლოა არაერთი დეტალი გამოაშკარავოს.

საინტერესოა, გამოჩნდებიან თუ არა ახალი მოწმეები ზურაბ შვანიას საქმეში. აღსანიშნავია, რომ კომახიდის ფილმში

“ტყვიის გარეშე”, რომელიც შვანიას გარდაცვალებას ეხება, გამოყენებულია მაღალი თანამდებობის პირთა სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი. ისმის ფრაზა, რომლითაც დასტურდება, რომ ოფიციალური ვერსიით უბედური შემთხვევის ადგილად დასახელებულ ბინაში რაულ იუსუფოვის ფეხსაცმელი ვერ იპოვეს. რასაკვირველია, როგორც ჟურნალისტ ვახტანგ კომახიდის, ასევე გოგა შვანიასთვის ამ თანამდებობის პირთა ვინაობა ცნობილია (საგარაუდოდ, მათგან ერთ-ერთი ზურაბ შვანიას ყოფილი თანამოაზრე ან თანაგუნდელი) და მათ, ალბათ, უახლოეს მომავალში პროკურატურა დაკითხავს. ასევე, დაკითხავენ ლევან სამხარაულის ექსპერტის ბიუროს ექსპერტსაც, რომელსაც “ხემოდან” მისცეს მითითება, რომ კონსპირაციულ ბინაში აღმოჩენილ ნივთებზე შვანიასა და იუსუფოვის თითის ანაბეჭდების არსებობა დაედასტურებინა, თუმცა ეს არ მოხერხდა. ამდენი ხნის განმავლობაში არც ამ ექსპერტის ვინაობა იყო ცნობილი.

იუსუფოვის ფეხსაცმელსა და თითის ანაბეჭდების არარსებობასთან დაკავშირებული კითხვები პასუხს ითხოვს, რომ აღარაფერი ვთქვათ დაცვის წევრების ჩვენებებში აღმოჩენილ შეუსაბამებულზე. თუმცა არ არის გამორიცხული, ისინი ახალ პროკურატურასთან უფრო თამამად ალაპარაკდნენ.

ამასთან, საზოგადოება სკანდალური ვიდეომასალის გამოქვეყნებასაც ელის. კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეს არ არის უშუალოდ მკვლელობის ამსახველი ფირი, მაგრამ ტელეფონით არის გადაღებული, როგორ შეჰყავთ საბურთალოს №53-ში ხელში აყვანილი (გათიშული ან უკვე გარდაცვლილი) რაულ იუსუფოვი. ამბობენ, რომ არსებობს მოწმეც, რომელმაც ეს დაინახა. ახლახან ზურაბ შვანიას ძმა, პარლამენტის წევრმა გოგა შვანიამ განაცხადა: “საბურთალოს №53-ში მდებარე ე.წ. კონსპირაციული ბინაში “სუფრის ინსცენირება” მიხეილ სააკაშვილმა, ვანო მერაბიშვილმა, ზურაბ ადგიშვილმა და გიორგი ბარამიძემ მოაწყვეს. ისინი იძლეოდნენ მითითებებს, სად რა უნდა განლაგებულიყო და რა უნდა მიტანილიყო. საქმის მასალების გაყალბება პირადად ზურაბ ადგიშვილს ევალებოდა. ის აძლევდა მითითებებს თანამშრომლებს, რა მიმართულებით წაეყვანათ საქმე”.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ჩვენთან საუბარში იგივე განაცხადა იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმაც. ის ამბობდა, რომ სახლგარეშე არსებობდა აუდიოჩანაწერი, სადაც ისმოდა ხელისუფლების ძალიან მაღალი თანამდებობის პირთა დიალოგები.

თემურ შაშიაშვილი: “ეს დიალოგი ამაზრზენია, შვანია უკვე გარდაცვლილია, მიმდინარეობს “უბედური შემთხვევის” ინსცენირების დეტალების დაზუსტება. იმ პერსონათა წრეს ვერ დავაზუსტებ, რომელიც შვანიასთან დაკავშირებით საუბრობს. ისინი ჩემი ცალკეული გამოჩნობის გამო ისედაც გაბოროტებული არიან და კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებენ. გიდასტურებთ, რომ გია ბარამიძემ ზურაბ შვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით ყველაფერი იცის. მეტიც, პირველად თქვენ გეტყვით, რომ იმ პირთა წრეში, რომლებიც შვანიას სიკვდილის შემდეგ გამოსაგალს ეძებენ და უბედური შემთხვევის ინსცენირების დეტალებს აზუსტებენ, ერთ-ერთი გია ბარამიძეა”.

ამ საკითხებზე სასაუბროდ გოგა შვანიას დაუკავშირდით.

ბობა შვანიას: – მთავარია, რომ პროკურატურა სიმართლის დადგენით დაინტერესებულია და პროცესი სწრაფად დაიწყება. მე დავასახელებ ადამიანებს, ვისი ჩვენებებიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება: სააკაშვილი, ბარამიძე, ადგიშვილი, მერაბიშვილი, დაცვის

წევრები. დაიკითხებიან სხვებიც, ვინც ამა თუ იმ პოსტზე ყოფნისას რაღაც ინფორმაციას ფლობდნენ. დეტალებზე საუბარს მოვერიდები, რადგან ეს გამოძიების პროცესია.

– ალბათ, მნიშვნელოვანია იმ პირთა დაკითხვა, რომელთაც ვახტანგ კომახიძე ასახელებს თავის ფილმში. ის არ ამხელს ექსპერტის ვინაობას, რომელსაც სთხოვდნენ, გამოქვეყნებინა დასკვნა ბინაში აღმოჩენილ ნივთებზე ანაბეჭდების არსებობის თაობაზე.

– ეს ექსპერტი არ არის ერთადერთი, ვისაც დაჰკითხავენ. დასკვნა იმის შესახებ, რომ ანაბეჭდები ბინაში არ არის, დაიღო იმ სახით, როგორც უნდა დადებულიყო და ეს არის მთავარი. ექსპერტისამ ეს აღიარა. მეც ვიტყვი, ვისი მხრიდან და ვისი მითითებით ხდებოდა ამ ექსპერტზე ზეწოლა, დანარჩენს გამოძიება დაადგენს. ოფიციალურად დადასტურებულია, რომ საბურთალოს ბინაში იუსუფოვის ფეხსაცმელი ვერ იპოვეს. ამ მხრივაც არსებობს საინტერესო მასალა.

– ითქვა ისიც, რომ საბურთალოს №53-ში მეზობელმა დაინახა, როგორ შეჰქონდათ ადამიანის ცხედარი ბინაში.

– დიახ, ველი, რომ მნიშვნელოვანი მოწმეები გამოძიებასთან ითანამშრომლებენ და ახალი ინფორმაციებიც გამოჩნდება. არც ვიდუკადრების არსებობას გამოვერიცხავ.

– პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებიდან მალევე შვანიას პირადი სეიფებიდან ნივთები მხოლოდ დაცვის უფროსმა კობა ხარშილაძემ გაიტანა თუ მას ბარამიძეც ახლდა?

– როგორც ვიცი, იქ ხარშილაძე მარტო მივიდა...

ზურაბ შვანიას დაცვის ყოფილი უფროსი პროკურატურასთან თანამშრომლობას აპირებს. ჟურნალისტი კობა ხარშილაძეს დაუკავშირდა:

– არ ვიცი, რას აპირებს პროკურატურა, თუ დამიხსენებ, ჩვენებას მივცემ.

– ე.ი. საქართველოდან გაქცევას არ აპირებთ და მზად ხართ, ყველა შეკითხვას უპასუხოთ?

– ცხადია.

– შვანიას სეიფებიდან რისთვის წაიღეთ დოკუმენტები?

– თქვენ თუ მეტყვით, რომ პროკურორი ხართ და გინდათ, მოგცეთ ჩვენებები, ეგ სხვა საქმეა...

– არ გინდათ, გვიპასუხოთ?

– ამ საკითხზე პროკურატურასთან ვაპირებ საუბარს.

– არც იმაზე გსურთ საუბარი, როგორ შეაღწეოთ “კონსპირაციული ბინაში” და რა მდგომარეობაში ნახეთ შვანია?

– გასაგებად გითხარით... რაღაც გვინდა საუბრის გაგრძელება...

## ვახტანგ კომახიძემ ბარამიძეს აღანაშაულებს?!

როგორც ირკვევა, შვანიას ბურუსით მოცულ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გია ბარამიძეა. სხვათა შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის თანამოაზრეები ფიქრობდნენ, რომ ბარამიძე ამ საქმეზე ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ალაპარაკდებოდა, თუმცა ის კვლავ დუმს, რის მიზეზადაც მის წინააღმდეგ არსებული კომპრომატები და აფრასიძეების საქმეში ბარამიძის “წვლილი” სახელდება.

ბოლო დროს ბარამიძემ მხოლოდ ის თქვა, რომ ვახტანგ კომახიდის ფილმები როგორც აფრასიძეების საქმეზე, ასევე ზურაბ შვანიას გარდაცვალებაზე, ტენდენციურია, რასაც სოციალური ქსელით ვახტანგ კომახიძე გამოეხმაურა: “გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ შვანიასა და აფრასიძეებზე ფილმები ცალმხრივად მომზადდა და მეორე მხარეს, ე.ი. მას, საკუთარი მოსაზრებების გადმოცემის შესაძლებლობა არ მიეცა. ეს არის სიცრუე. შვანიას თემაზე მისგან ინტერვიუს აღებას

დიდხანს ვცდილობდი. სხვებთან ერთად, შემიძლია დავასახელო ბარამიძის ორი ახლო მეგობარი, ვისი საშუალებითაც მის ინტერვიუზე დათანხმებას ვცდილობდი და ორივეს პირით უარი შემომითვალა.

აფრასიძეების თემაზე კი მას ინტერვიუსთვის წერილობით მივმართე, რაზეც ასევე უარი მითხრა. პრემიერ-მინისტრის დაღუპვის დეტალებზე მომზადებული ორი ფილმიდან არც ერთში ბარამიძის ვგარი ნახსენები არც ერთი. თუმცა, იგი უდავოდ არის ამ საქმის ერთ-ერთი საინტერესო მოწმე. თავხედური პრეტენზია გამოთქვა აფრასიძეების ფილმთან დაკავშირებითაც; ფილმში არაფერს უთქვამს, რომ ბარამიძემ მიცვალებულს საქორწინო ბეჭედი მოხსნა და იგი გვამზე სადილობდა, თუმცა, აღწერილი იყო სპეცოპერაციის დანაშაულზე ბრძენი სისასტიკე; ჩაეწერეთ მოწმეთა ჩვენებები, რაც სპეცოპერაციის კანონიერებას საეჭვოს ხდიდა და გამოძიების დაწყების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ამ საკითხით ბარამიძე არასოდეს დაინტერესებულა და თუნდაც ეს არის საკმარისი საფუძველი მისი ბრალდებისთვის. დაბოლოს, ბარამიძემ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მას არ მიეცა ფილმებში თავისი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა და იქვე, რამდენიმე წუთში, უარი თქვა, ეპასუხა იმავე შინაარსის კითხვებზე. ერთი შეხედვით ეს არაადეკვატური საქციელი სინამდვილეში არც უაზრობაა და არც ბარამიძის ნოჰუაჟი. ასეთი იყო “ნაციონალური მოძრაობის” პოლიტიკური ტექნოლოგია – ერთი მხრივ, ისინი მუდმივად ზღუდავდნენ ინფორმაციას და მეორე მხრივ, აფრქვევდნენ საყვედურებს, რომ მედიაში გაერცვლებული ინფორმაცია არ იყო სრულფასოვანი. ბარამიძე იმავე ტექნოლოგიებით აპირებს პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას და ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ სწორედ ეს პოლიტიკური მესაფლავე”.

ჟურნალისტი შეეცადა გია ბარამიძისგან შვანიას საქმესთან დაკავშირებით კომენტარის მოპოვებას, თუმცა ამოღდა...

ყველაფრის მიუხედავად, რჩება იმედი, რომ გია ბარამიძე დუმილს დაარღვევს და ზურაბ შვანიას ხსოვნის პატივისცემას მხოლოდ საფლავეზე მიტანილი თაიგულებით არ გამოხატავს, რომელთაც ყოველთვის ამშვენებს წარწერა: “მეორე მხარეს, ზურაბ შვანიას, გია ბარამიძისგან”...

P.S. გასულ კვირას ქვეყნის მთავარი პროკურატორის კანდიდატმა არჩილ კებილაშვილმა განაცხადა, რომ შვანიას საქმეზე ქვეყნის პრეზიდენტსაც დაჰკითხავს. როგორც ჩანს, ეს საქმე სკანდალური მხოლოდ ამის გამო არ აღმოჩნდება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მართლაც გამოქვეყნდა ზურაბ შვანიას საქმესთან დაკავშირებული აუდიო ან ვიდეოჩანაწერები. ეს აუცილებლად ითამაშებს კატალიზატორის როლს და ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას დააჩქარებს, რაც საგარაუდოდ, იანვარს ან ზურაბ შვანიას დაღუპვის დღეს (3 თებერვალს) არ გადასცილდება – სააკაშვილის პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა ხომ სწორედ იანვარში ვადას.

*“უმაღლესი ძალაუფლება ხშირად უმაღლეს ბოროტებად იქცევა ხოლმე” ტიმინტიუს პუბლიციუსი*



# კოლხეთი — პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-195

ამრიგად (ზოგიერთ საკითხს ვიმეორებთ): მითის მიხედვით იასონმა იმოგზაურა კოლხეთში „ოქროს საწმისის“ მოსაპოვებლად. ოდისევსმა თანამხლებთან ერთად იმოგზაურა ლამაზთმიან გრძელ კირკესთან კუნძულ ვაში (ხმელთაშუა ზღვა). მისი მეორე სახელია ცირცვია. ცირცვია ხომ არ არის მეგრული სიტყვა „ცირას“ – ქალიშვილის – ასულის გამომხატველი სიტყვა? კირკეს – ცირცვია, ცირა არის მზის ღმერთის ჰელიოსისა და პესეიდას ქალიშვილი. კოლხეთის მეფე აიეტის კუნძულზე ოდისევსმა წელიწადზე მეტი დაჰყო და კირკეს – ცირცვა-ცირას, მისგან შეეძინა შვილი ტელეგონი. ე. ი. მედეა მზის ძე აიეტის ასულია, კირკეს, ცირცვას მამიდაშვილი. ხოლო აიეტის მეორე ქალიშვილი მედეას უფროსი და ქალკოპე ფრიქსეს მეუღლეა. კოლხეთში ოქროსთმიანი ვერძით მიმავალი ფრიქსე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გადარჩა, მისი და პელე ზღვაში ჩაყარდა და დაიღუპა, რომელ ადგილსაც პელე – პელესპონტი (თანამედროვე დარდანელის სრუტე) უწოდებს. კოლხეთში ჩაფრენილი ფრიქსე აიეტმა თავის ქალიშვილ ქალკოპეზე დააქორწინა. ფრიქსე და პელე ქალაქ ოქრომენრის მეფის ათამასის და ღრუბლების ქალღმერთის ნეფელეს შვილებია. ათამასი (ათამასი) გახცილდა მეუღლეს (ნეფელეს) და შერთო ქალაქ თებეს მეფის კადმოსის ასული ინო. ინომ შეიძულა გერი შვილები ფრიქსე და პელე. ისინი სწორედ დედინაცვალს გამოეპყნენ კოლხეთში.

პროფესორ რამაზ სურმახიძის მიანჩნა, რომ ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი საკულტო ცენტრი თეთროსანი წარმართობის დროინდელი სალოცავია და ორგანულადაა დაკავშირებული ხეცუბნის ნაქალაქართან.

შესადგო ეს ნაქალაქარი და კოლხთა მეფის აიეტის ასულის, ქალკოპეს მეუღლის, ფრიქსეს მიერ აშენებული ქალაქი ფრიქსიპოლისი ერთი და იგივე პუნქტია; ამ ქალაქს შემდგომში იდევსა ეწოდა, აიეტის მეუღლის იდიას სახელის მიხედვით.

ფრიქსეს კოლხეთში ჩამოსვლისას, აქ დახვდა სალოცავი თეთროსანი. ეს სახეული მან ბერძნულად თარგმნა და ლეუკოთა უწოდა. მანვე შეაკეთა სალოცავის საკურთხეველი.

თეთროსანი უნდა უკავშირდებოდეს ქართული მითის „ამირანიანის“ თეთროსს, აგრეთვე ცხენის (თეთრი რაშის) კულტს. ამან ქრისტიანობის გავრცელების საწყისი ეტაპიდანვე განსახიერება ჰპოვა თეთრი გიორგის, წმინდა გიორგის კულტში, რომელიც ქრისტიანობის სიმბოლოდ იქცა. როგორც სხვაგანაც გვაქვს საუბარი, კოლხეთის მეფე ცხოვრობდა უბრწყინვალეს სასახლეში, რომლის მდიდარი ხელოვნება შექმნა პეფესტოსმა, რომელიც სიკვდილს გადაარჩინა ჰელიოსმა (აიეტის მამა) – ოქროს სამაბრი ეტლით ფრიგიელთა ვედიდან გამოიყვანა. ასეთივე დიდებული იყო აფსირტეს სამოფელიც, რომელსაც სილამაზის გამო კოლხებმა „ფაეთონი“ („ფაეტონი“) („ბრწყინვალე“) უწოდეს (გაიხსენოთ, უკვე ზემოთაც ნათქვამი პლატონის ვერსია, რომ ფაეტონმა ცის კაზადონზე ეტლით გაიხსენა, მაგრამ გზას აცდა, თვითონაც დაიღუპა და აფეთქებაც მოხდა, რომელმაც ატლანტიდის ჩაძირვა

თუ წარდგინა განაპირობა). აღნიშნული მითების სხვადასხვა ვარიანტში ლაპარაკია ჰელიოსის, აიეტის ოჯახის წევრებზე, მათ შორის აიეტის და პერსიდაზე.

აიეტს აფსირტე კავკასიელი ნიმფისაგან, ასტეროიდისაგან შეეძინა. აფსირტეს დედინაცვალი იდია, ოკეანისა და ტეთისის უმცროსი ქალიშვილი, დვიძლი შვილივით ეპყრობოდა. ნიმფა ასტეროიდი, ჯერ ქალი – ქალკოპე შეეძინა, მერე აფსირტე. ამის შემდეგ დედოფალი სადღაც დაიკარგა. მზის ძე აიეტმა დიდი ხნის შემდეგ ცოლად შერთო მშვენიერი იდია.

პროფ. აკაკი ურუშაძე წერს, რომ ანტიკური ხანის ბერძენ ავტორებს ეჭვი არ ეპარებოდათ თქმულების სინამდვილეში და მის აღმოცენების მიზეზებს ისტორიულ-სოციალურ ასპექტებში ეძებდნენ... ძიებათა შედეგად არგონავტების მითში მეცნიერებისათვის საყურადღებო და სინამდვილის ამსახველი მრავალი ფაქტი დადასტურდა. არგონავტების თქმულება ანტიკური ხანის მწერლობის მუდმივი ძიებისა და განხილვის საგნად იქცა: ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, პინდარეს „IV პითიური ეპიონიკა“, ევრიპიდეს „მედეა“, როდოსელის „არგონავტიკა“, რომელიც პოეტის ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“, რომლებშიც გადმოცემულია ცნობები ქართულ (კოლხურ) ტომთა ეთნოგენეზისზე, მათ დიდ, ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელების, ცხოვრების პირობების, პანთონის და სხვათა შესახებ; ასევე სხვა წერილობით წყაროებში ძეგროფასი მასაღა დაცული კოლხეთის ანუ აიას დიდების, ბრწყინვალეების შესახებ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, გვ. 557.).

ფასისთან ახლოს – სად მდებარეობდა არესის ველი და წმინდა ჭალა, რა კავშირი აქვს დეიონისმობლის დედის კირკესს სახელს არესის ველთან და წმინდა ჭალასთან?

არესის ველი და წმინდა ჭალა მდებარეობდა მდინარე არაქსუს (აბაშის) ნაპირზე, თითქმის მდ. აბაშის შესართავამდე (მარტივის რაიონი) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოლხეთის დაბლობის ბოლოს, მდ. ტეხურის ხეობასთან – უნაგირას მთის ფერდობზე, დღევანდელ ნაქალაქართან (სენაკის რაიონი), სადაც შემორჩენილია აღნიშნულ თარიღზე, ალბათ ადრე აშენებული კოლხეთის სამეფოს ქალაქ აიას დიდი გალავანი, უზარმაზარი სამეფო სასახლეების ნანგრევები, სამეფო აბანო, ვეირანი და სხვა შენობების ნაშთები. ეს, ჩანს, რომ კოლხეთის (ეგრისის) ქალაქ-სახელმწიფოსა და მთელი კოლხეთის (ეგრისის) უძველესი დედაქალაქია. მცხოვრებლებს, რომელთა სახელმწიფო იყო უბრწყინვალესი და უძველესად მიანდათ და მსგავსი არ ეგულებოდათ, როგორც ითქვა, უწოდეს „აიათა“ – „აია“-ს წინ დაურთეს დიდების დამახასიათებელი სახელი.

აიეტის დიდებული სასახლის დასახასიათებლად მოგვყავს ადგილი: კოლხეთში ჩამოსული იასონი ფრიქსესა და ქალკოპეს ვაჟებთან – კიტი-სორე, ფრონტისი, მელისი და არგოსი და, ორ თანამოლაშქრე – თანამებრძოლებთან – ტელამონთან და ავაგესთან ერთად გაემართა აიეტის სასახლისაკენ, გაიარეს კირკეონის ველი და „მიადრწის ქალაქ კიტიასა და აიეტის სასახლეს. მინიებს თვალწინ გადაეშალათ შესანიშნავი სურათი: აიეტის მშვენიერი სასახლე, რომელიც გარშემო ფართო ჭიშკრითა და სვეტებით დამშვენებული გალავანი ჰქონდა შემორტყმული. ზემოთ სპილენძის ქონგურებზე ქვის კოშკი იყო აღმართული. მწვანე ფოთლებით დაფარული მაღლა აზივული გაზის ქვეშ პეფესტოსს მიერ ამოყვანილი ოთხი დაუშრეტელი წყარო მოწუხუნებდა... მრავალი ოთახისა და სათავისი შემცველი სასახლის შუაგულში იდგა ოსტატურად ნაკეთები აივანი რომელიც გარს ჰქონდა შემოვლებული. მის პირდაპირ კი აღმართული იყო ორი მაღალი სასახლე; მათგან უფრო მაღალში აიეტის ცხოვრობდა თავისი მეუღლით იდიათი, ხოლო მეორეში კი – აიეტის ძე აფსირტოსი. სხვა ოთახები კი აიეტის ასულებს, ქალკოპესა და მედეას და მათ მხეველ ქალებს ეკავათ

(რისმაც გორდებია, არგონავტები, გვ. 28-29.).

ნოქალაქების (ნაქალაქარის) გრანდიოზულ ნაგებობათა შემორჩენილი ნაშთების მსგავსი უნიკალური ძეგლი, ალბათ მეორე არ მოიპოვება საქართველოში. ის უძველესი ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშია. „აია“-ს (არხაიო პოლისი, ნაქალაქევი) სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს გარსემოვლებულია ორი მეტრის სიგანის და რვა მეტრი სიმაღლის გალავანი. სასახლე აიეტის აშენებული უნდა იყოს. აპოლონიოს როდოსელი თავის პოემაში წერს: „ვაჟაკები სასახლის შესასვლელთან გაჩერდნენ, ისინი გააოცა მეფის სასახლის გალავანმა და ფართო ჭიშკარმა“.

ფაზისის (ფასისის) მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მდებარე ველს, რომელსაც „ანჯელა“-ს ეძახიან, 3300 წლის წინ კირკეს ველი ერქვა. ამ ველს დეიონისმობლის დედას კირკეს-კირკეონის (კირკეონის) ველს უწოდებდნენ. არესის ველს რომაელებმა თავიანთი ომის მფარველი ღმერთის მარსის სახელი უწოდეს (ამროსი კილასონია, კოლხეთი სამი ათასი... გვ. 75-76.).

აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის აზრით, ვერძის ტყავი იხეთი სახეობაა, რომელსაც დამოკიდებული იყო ქვეყნის კეთილდღეობა და აია-კოლხეთში არსებული ოქროს საწმისის გატანისათვის აიეტის წინააღმდეგობა ნაკარნახევი იყო იმით, რომ ეს გაუტოლდებოდა ვინმეზე სამეფო ხელისუფლების დათმობას. ყველაფერი ეს გ. გიორგაძის მიხედვით ხდება მეორე ათასწლეულში, ანატოლიის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ტერიტორიაზე – ქართველ ტომთა უძველესი განსახლების არეალში, სადაც ცხოვრობდნენ ხეთები და მეგრულ-ჭანური ტომები.

არგონავტებმა კოლხეთიდან გაიტაცეს „ოქროს საწმისი“, რომელიც ნიშნავს ცოდნას მეტალურგიისა და მეცნიერების სხვა დარგების შესახებ. და როგორც ითქვა, ოქროს, რკინის, ფოლადის მოპოვება-დამუშავების სამშობლოდ კოლხეთი ითვლება – ხალიდები (იგივე ხალიბები). ცნობილია, რომ ფოლადს ბერძნულად ხალიფი ჰქვია. ასევე ბერძნებმა საქართველოდან წაიღეს ცოდნა მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებაც.

მეკვლევარი ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი აღნიშნავს, რომ „ბერძნებმა არგონავტებმა ქართველ ერს მოსტაცეს რკინა-ფოლადის, დვინისა და პურის საიდუმლო“, რომლის სამშობლოდაც კოლხეთი (საქართველო) ითვლება.

უძველესი კოლხეთის მიწა-წყალზე ნაპოვნი ხორბლის უმორეულები, ენდემური ჯიშები მახა და ზანდური. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დედამიწის ზურგზე მცხოვრები ადამიანები ტყის მცენარეთა ნაყოფით იკვებებოდნენ, კოლხებს ხორბლის საკუთარი კულტურული ჯიშები გააჩნდათ. მათს ასეთად ჩამოყალიბებას კი, ცხადია, ათასწლეულები დასჭირდებოდა (იხ. მამანტი ძამაძია, ქართველოლოგია IX სიმპოზიუმის მემორანდუმი ქართველური ენების უგულყოფის ცდა, გაზ. „ფართაზის სამრეკლო“, 2002, ოქტომბერი, გვ. 5.).

გარდა აღნიშნულისა, კოლხებს ჰქონდათ ხორბლის უძველესი ჯიში ემირი. მეგრულად „ემერ“ ნიშნავს ეგერ, „იქ“ (თუ არ გჯერა ნახე ეგერ). კოლხეთში დვინის ღმერთს აგუნა ერქვა (რომაულად – ბახუსი, ბერძნული დიონისე).

ცნობილია, რომ ებრაელებმა პრეტენზია წაუყენეს გერმანიას, იმ უდიდესი დანაშაულისათვის, რაც ფაშისმა მიაყენა ებრაელებს ხალხს, დიდძალი თანხა გადაუხადონ: ასეთ პრეტენზიას აცხადებდა ჩინეთიც იაპონიის მიმართ.

იმ სიმდიდრეებისა და მეცნიერული აღმოჩენებისათვის, რომლებიც, როგორც აღინიშნა, ბერძნებმა გაიტაცეს საქართველოდან (კოლხეთიდან) და რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიო მეცნიერების განვითარებას, სვიმონ მასხარაშვილი სამართლიანად ამბობს: „ის თანხა, რომელიც მთელმა მსოფლიომ უნდა გადაუხადოს საქართველოს, ალბათ, არით-

მეტიესათვისაც კი მიუწვდომელია“

როგორც აღინიშნა, „გრძნეული“ მედეა ისე განთქმული იყო მკურნალობის საქმეში, რომ გაკვირვებულმა ელინელებმა ჯადოქრად ჩათვალეს. შემდგომში კი მკურნალებს, მედიკოსებს – მედიკოს (მედეას) მიმდევრებს უწოდებდნენ. მედიცინა ქართველი ერის წიაღში წარმოიშვა, რომელიც მეცნიერების კლასიკური საფუძვლები კოლხეთიდან გაიტაცეს ბერძნებმა. (იხ. სვიმონ მასხარაშვილი, თანხა, რომელიც მთელს... გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2003, 15-21 სექტემბერი).

ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოკრატ სალუქვაძე აღნიშნავდა, რომ ისტორიული ცნობები მედეასა და მისი სამკურნალო ტრადიციების შესახებ შორეული წარმართული ხანის საუკუნეებიდან მიედინება. მედეას სამკურნალო ხელოვნების მეცნიერულად გაშუქებას არაერთმა მეკვლევარმა მიუძღვნა შრომა, მათ შორის, როგორც არაქართული წარმოშობის ხელოვნებამცოდნეებმა, დრამატურგებმა, პოეტებმა, თუ მისი სათავგადასავლო ისტორიით დაინტერესებულმა მეკვლევარებმა. (სოკრატე სალუქვაძე, უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით, მედიცინა – მედეა – მედიცინა. მედიცინა ეტიმოლოგიურად მედეას სახელს უკავშირდება, „ცოტნეიდელო“, ფაზისი 2005, გვ. 66-83.)

პროფ. კურტ შპრენგელის კონცეფცია ადასტურებს, რომ კოლხეთის დაბლობზე მოშენებული იყო სამკურნალო მცენარეების ბაღი – ჰეკატეს ბაღი. ამ წალკოტ ბაღში 40-მდე სამკურნალო მცენარეს აშენებდნენ ძვ.წ.დ. XV-XIV საუკუნეების მიჯნაზე. ეს სულ ცოტა 300 წლით უსწრებს ცნობილი მკურნალის, ასკლეპიოსის (ბერძნულად) იგივე ესკულაპის (რომაულად) ეპოქას.

რაც შეეხება ფულად ნიშანს – მონეტას, ერთ-ერთი პირველი კოლხეთიდან იღებს სათავეს. მონეტა პირველად ფრიგიის ტერიტორიაზე (იქ, სადაც ილონმა დიდი გამარჯვება მოიპოვა ათლეტურ თამაშებში) იქნა აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში. ფრიგიაში მაშინ მუშეები ანუ მესხები დომინირებდნენ (მაშინ ისინი კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდნენ და მესხები კოლხები იყვნენ (ჰეკატოს მილეტელი). „კოლხური თეთრი“ კი ვანაკეთებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეს. დ. კაკაბაძე „ქართული ნუმიზმატიკაში“ წერს: „კოლხური თეთრის ზოგიერთი ვარიანტი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში მოიჭრა და სახეებით მართებულად მსოფლიოს ერთ-ერთ მონეტად ითვლება“. ამ დროიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, პირველი მონეტა შეიქმნა საბერძნეთსა და სპარსეთში, ხოლო რომის იმპერიაში ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

ამრიგად, ის უდიდესი მეცნიერული მიღწევები, რომელიც „ოქროს საწმისში“, აიეტის კოლხურ ყუთში იყო – ცოდნა მეტალურგიაში (ოქროს, სპილენძის, ფოლადის გადამუშავება), ასევე ცოდნა მევენახეობის, მეღვინეობის, ხელის წარმოების და ხორბლის დამუშავების დარგში, სამეცნიერო მედიცინის კლასიკური საფუძვლები, ერთ-ერთი პირველი ფულადი ნიშნები (მონეტები) – მსოფლიოში კოლხეთიდან გავრცელდა და მსოფლიოს შემდგომი განვითარების საშუალება, წყარო გახდა. კოლხები იყვნენ პირველი ვეტომშენებლები, კარტოგრაფები, შექმნეს პირველი კირბები.

ერთგვარი დასკვნა რომ გაკეთდეს: კოლხებს აქვთ (ერთგვარად ვიმეორებ) მსოფლიო ისტორიული პროგრესები ისეთ მეცნიერებებში, როგორცაა მეტალურგია, ქიმია, მედიცინა, კარტოგრაფია, გეოგრაფია, ზღვაოსნობა, ასტრონომია, ასტროლოგია, კოსმოლოგია, ეთნოლოგია, დამწერლობა, ენა და სხვ.

**კლიმენტი შელია,**  
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# დუტუ მიბრელი – „სამშობლოს...“

1867 წლის 26 ოქტომბერს სოფელ სუჯუნაში (დღევანდელი აბაშის რაიონი) დაიბადა დიმიტრი ხოშტარია, რომელსაც მთელი საქართველო დუტუ მეგრელის სახელით იცნობს. ყველა ქართველისათვის პატარაობიდანვე ნაცნობი და ახლობელია სახელი – დუტუ მეგრელი, ცნობილი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მისი მუდგულე ცნობილია ქართველეთისათვის, ანსტაზია ერისთავი-ხოშტარია.

დიმიტრი ხოშტარიას მამა ადრე გარდაეცვალა. იგი სოფლის დარბი დიაკონი იყო. ოჯახს უჭირდა და ამიტომ დიმიტრის დედა, შვილითურთ, ძიძად შევიდა დავით აბაშიძის ოჯახში, ხარაგაულში. შემდეგ, შალვა დადიანის მამის, ნიკო დადიანის ოჯახს შეაფარა თავი. ამ ოჯახში ძალიან უყვარდათ ქართული მწერლობა, რამაც საკმაო გავლენა იქონია ობოლ დიმიტრი ხოშტარიასზე.

მომავალი მწერალი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. სხვადასხვა დროს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდნენ: კირილე ლორთქიფანიძე, მამია გურიელი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, სილოვან ხუნდაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, იოსებ ოცხელი, კიტა აბაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, დეო ქიანელი, კოლაუ ნადირაძე, სარგის კაკაბაძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, დავით კაკაბაძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, პოლონ ააშვილი, ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვ.

ლექსების წერა გიმნაზიაში სწავლისას დაიწყო. მისი პირველი ლექსი 1888 წელს გამოქვეყნდა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთ „თეატრში“. 1891 წელს ქუთაისის კრებულში „ცდა“, დუტუ მეგრელის ფსევდონიმით დაიბეჭდა მთხრობა „შვილი და დედა“.

შემდეგ სახელმწიფო ხარჯზე იურისპრუდენციას სწავლობდა ნოვოროსიის (იმდროინდელი – ოდესის) უნივერსიტეტში. ოდესაში სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, მასაც მძიმე მატერიალური პირობები ჰქონდა.

1892 წელს გამოვიდა მწერლის პირველი წიგნი „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“. 1893 წელს გამოიცა ლექსების კრებული „ცრემლები“, რომელიც საზოგადოებამ და კრიტიკამ გულთბილად მიიღო.

1893 წელს, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, დიმიტრი ხოშტარია დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ სამუშაოზე ვერ მოუწყო და სამსახური დაიწყო გადასახადების ინსპექტორად და საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს წევრად, ყარის ოლქში და ერევნისა და განჯის გუბერნიებში.

ქართველი მწერალი შეძლებისდაგვარად იცავდა ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს. ამის გამო სამსახურიდან კინაღამ დაითხოვეს.

ამ პერიოდში, 1901 წელს შეიქმნა დუტუ მეგრელის პოპულარული ლექსი „პატარა ქართველი“, რომელიც ძალიან იქცა პატარა ქართველებისათვის თვითშეგნებისა და თვითდენტიფიკაციის შესანიშნავ ჰიმნად. ამ ბრწყინვალე ლექსში ჩანს ქართული მესიანიზმი – საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა... ლექსი იმდენად გენიალურია, რომ ზოგიერთს მისი ავტორი აკაკი წერეთელი ეგონა. ის ხშირად შეჰქონდათ სასკოლო სახელმძღვანელოებში... ამ ლექსზე აღზრდილი ქართველები კვლავ სჭირდება კავკასიას...

ლექსი „პატარა ქართველი“ და მთხრობა „ქინაქინა“ შესულია იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ და „ბუნების კარში“. „ქინაქინა“ შესულია „ქართულ საყმაწვილო მთხრობაში“ და სხვა.

ვისაც წაუკითხავს „ქინაქინა“, არ შეიძლება გულგრილი დარჩენილიყო.

1917 წელს დიმიტრი ხოშტარია საცხოვრებლად გადმოდის თბილისში. მუშაობას იწყებს საგანგებო საქმეთა მოხელედ, განსაკუთრებული კომიტეტის სამმართველოში.

შემდეგ მსახურობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეთა სამმართველოში და თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად. ამ პერიოდში დუტუ მეგრელის მრავალრიცხოვანი ოჯახი კვლავ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მიხეილ ხოშტარიამ სამსახური დაიწყო განსაკუთრებული საგადასახადო საბჭოს წევრად, საფინანსო კომისარიატში. შემდეგ გადაიყვანეს უფროს რევიზორ-ინსტრუქტორად.

მწერალი მოთხრობებისა და ლექსების პარალელურად წერდა პოემებს და პიესებს. აქვეყნებდა პუბლიცისტურ და თეორიული ხასიათის წერილებს ლიტერატურაზე. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დუტუ მეგრელმა ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა დეკადენტიზმის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ მთელს მსოფლიოში პოპულარული იყო. დუტუ მეგრელი ცდილობდა აეხსნა რეალისტური შემოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა. მისთვის მიუღებელი იყო ფორმალიზმი და ნატურალიზმიც. ის ორივე უკიდურესობას აკრიტიკებდა, რომელიც მოძალბებელი იმ დროს ხელსაწყოებში.

დუტუ მეგრელი გარდაიცვალა 1938 წელს. დაკრძალული იყო ვაკის სასაფლაოზე. 1968 წელს გადაასვენეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბ. მახოზაშვილი

გაიხსენით დუტუ მეგრელის ერთი შესანიშნავი ლექსი „პატარა ქართველი“.

## პატარა ქართველი

მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი, და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნა აქ სიკვდილი! ქართულ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო – ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო. ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა ღვთის მშობლისა არის წილი; ბევრ მწარე დღეს მოსწრებია და უნახავს ბევრიც ტკბილი. ხან თუ მტერი აოხრებდა, იყო მღვრელი ცრემლის ცხარის, ბრწყინვალე დროც დასდგომია, დრო დავითის და თამარის! მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი და მსურს მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი..



## თამაზ იმნაიშვილი: „ღალუკულები ბრძოლის ველზე მიატოვეს და მხოლოდ 29 აპრილს, დილის 6 საათზე გამოიყვანეს“

ლაფანყურის ტრაგედია კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ამ გახმაურებულ მოვლენასა და შეიარაღებულ ძალბაში მიმდინარე პროცესებზე თვალსაზრისს თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს გენერალთა კლუბის ანალიტიკური ცენტრის უფროსი თამაზ იმნაიშვილი გამოხატავს:

– ლაფანყურის ოპერაციის შესახებ რომ ვისაუბროთ, აუცილებელია მედიაში გაერცვლებულ ინფორმაციას თვალი არა 28 აგვისტოდან, არამედ აგვისტოს პირველი დეკადიდან მივადევნოთ და განსაკუთრებით რუსული მედიის მიერ გაერცვლებულ ინფორმაციას მივაქციოთ ყურადღება. აგვისტოს პირველ დეკადაში ლაფანყურთან ახლოს, საქართველო-რუსეთის საზღვართან, დადესტრის რესპუბლიკის წუნდინის რაიონის ტყეებში გახშირდა ხანძრები. ამ ინფორმაციას ავრცელებდნენ რუსული ოფიციალური სტრუქტურებიც და ჩრდილოკავკასიელი სეპარატისტების ინტერნეტგამოცემებიც. რუსეთის არმიის პირველი სამხედრო ჯგუფი ერთი ბატალიონის შემადგენლობით წუნდინის რაიონში 16 აგვისტოს გამოწინა – ეს იყო სამხრეთის სამხედრო ოლქის როსტოვის დივიზიის სადესანტო ბატალიონი. იმ დღეებში რუსული ოფიციალური წყაროებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა 2500-მდე. ხოლო ჯავშანტექნიკა – 250 ერთეულამდე. ამავე რაიონში გაიშალა 300-კაციანი საველე პოსტიც. საერთო ჯამში, წუნდინისა და მეზობელი რაიონების ტერიტორიაზე 10 000-მდე სამხედრო იყო მოხიზებული. 16-დან 24 აგვისტომდე რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ წუნდინის რაიონში ხანძრების განენის საფრთხე პირველი დონიდან უმაღლეს, მე-5 დონემდე აიყვანა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, იქ მოხიზებული სამხედროების მთავარი ამოცანა ხანძართან ბრძოლა იყო, თუმცა, 300-კაციანი საველე პოსტიც სამხედრო მედიცინის ტერმინოლოგიით ნიშნავს, რომ ის დღიურად დაახლოებით 2.000 მწყობრიდან გამოყვანილ სამხედროს უნდა მოემ-

სახუროს, ანუ იქ განლაგებული სამხედრო საველე პოსტიც გაშლა ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებისთვის იყო განკუთვნილი. საგულისხმოა, რომ ჩრდილოკავკასიელი სეპარატისტების ინტერნეტგამოცემების (v.dagestan.com) ინფორმაციით, აგვისტოს 5-დან 20-მდე ამ რაიონებში ხშირად წვიმდა. აქედან გამომდინარე, ხანძრის ბუნებრივად გაჩენის და, მით უმეტეს, მასშტაბის გაზრდის ალბათობა პრაქტიკულად, არ არსებობდა. ასე რომ, თუ ამ ორი სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს გაგაანალიზებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ ქმედებას სინამდვილეში სულ სხვა მიზანი ჰქონდა.

ამჟამად ციხის საავადმყოფოში მყოფმა დადესტრელმა მებრძოლმა ახმედ ჩატაევმა განაცხადა, რომ იმ 17-კაციან შეიარაღებულ ჯგუფში იყო ერთი ლეკი, რომელმაც გარკვეული პერიოდით ადრე მიაწოდა ინფორმაცია რუსულ სპეცსამსახურებს ამ ჯგუფის ლაფანყურის ხეობიდან დადესტრანში შესაძლო გადასვლის შესახებ. სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე რუსეთმა, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ადგევანტური ნაბიჯები გადადგა, თუმცა სხვაგვარად შეუვლათ თავისი განზრახვა.

– რა შეიძლება იყოს მომხდარი, თუ ეს ჯგუფი მაინც გადასახავდა რუსეთ-საქართველოს საზღვარს?

– დიდი ალბათობით, მოხდებოდა შეიარაღებული შეტაკება რუს სამხედროებთან. რაც შეეხება ჩრდილოკავკასიელი „ბოვეიკების“ ბრძოლის ტაქტიკას, ჩვენურ-დადესტრული პარტიზანული ომების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ისინი პარტიზანული მოქმედების კლასიკურ ვარიანტს მისდევენ, ანუ არსებობს ბრძოლის ველი და არსებობს უსაფრთხო ტერიტორია, სადაც ბრძოლის ველიდან გაცლა და შექმდე თავის შეფარება შეიძლება. დიდი ალბათობით, ეს ჯგუფი, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის შემთხვევაში, დაიწყებდა უკან დახევას უსაფრთხო ტერიტორიაზე. ასეთი კი საქართველოა. საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში კი რუსეთის ხელისუფლება უკან არ დაიხ-

ევდა და საქართველოს ტერიტორიას გადმოლახავდა. ეს კი ფაქტობრივად, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების დაწყებას ნიშნავდა ორ სახელმწიფოს შორის. ჯერჯერობით გაურკვეველია, სცენარის ამგვარი განვითარების ალბათობა შეაშინა სააკაშვილის ხელისუფლება, თუ რომელიმე დასავლელმა მრჩეველმა გააფრთხილა მკაცრად, არ დაეშვა ამ სცენარის განვითარება.

– რატომ ჩახოცეს ჯგუფის წევრები და არ შეეცადნენ მებრძოლების ცოცხლად აყვანას?

– ჩატაევის მონათხრობმა კიდევ ერთი ნათელი წერტილი გააჩინა ამ ამბავში. შეიარაღებული ჯგუფი უაღრესად სამიშინფორმაციის ფლობდა: საქართველოს ხელისუფლება ვ ჰავენის „ბოვეიკებს“ ჩრდილოკავკასიაში – ეს ისეთი ბომბი იყო სააკაშვილისთვის წინასაარჩევნოდ, რომ მას დიდი პრობლემები შეექმნებოდა, თუ ინფორმაცია გაუჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო, რომ ხელისუფლება შეეცადა, ინფორმაციის მფლობელთა განადგურებას. მათ შორის ახმედ ჩატაევისაც, რომელიც არ იყო ამ ჯგუფის წევრი, მაგრამ მან ბევრი რამ იცოდა და მისი სიტყვა უაღრესად დიდი წონისაა საერთაშორისო საზოგადოებისთვის...

– რაც შეეხება თვითონ ანტიტერორისტული ოპერაციის დეტალებს.

– ოპერაცია ჩატარდა უაღრესად არაპროფესიულად. 17-კაციანი შეიარაღებული ჯგუფის წინააღმდეგ მოქმედებდა დაახლოებით ათასამდე ქართველი სამხედრო. დანაკარგების შეფარდება კი იყო თხუთმეტი თვრამეტთან. II დაღუპული და ოთხი დაჭრილი შეიარაღებულ ჯგუფში და სამი დაღუპული და ხუთი დაჭრილი ქართველი სამხედროების მხრიდან. ყველაზე დიდი კითხვა კი ქართველი ექიმის დაღუპვამ გააჩინა. ვისაც ოღნავ მაინც ესმის საბრძოლო ოპერაციებისა, მიხედვით, ექიმის დაღუპვა ამ სპეცოპერაციაში პირდაპირ აჩვენებს, რომ ოპერაცია ძალზე არაპროფესიულად დაიგეგმა და განხორციელდა. დაღუპული ქართველი მებრძოლები ბრძოლის ველზე მიატოვეს და

მხოლოდ 29 აგვისტოს, დილის 6 საათზე გამოიყვანეს.

ნებისმიერი ხელისუფლების მიზანი, საბოლოო ჯამში, მისთვის სასურველი პოლიტიკური შედეგის მიღებაა. კითხვა – რა ამოცანა იყო სინამდვილეში დასახული და რა შედეგს ელოდა სააკაშვილის ხელისუფლება ამ ავანტიურისგან? – ჯერ პასუხგაუცემელია. ფაქტია, კავკასიის ხალხებმა გააცნობიერეს, რომ ეს ავანტიურა მხოლოდ სააკაშვილის ავადმყოფური იდეების ნაყოფი იყო და შეხება არ ჰქონია ქართველ ხალხთან.

– გაერცვლებული ინფორმაციით, თავდაცვის ახლადანიშნულმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გენერალთა კლუბს თანამშრომლობა შესთავაზა...

– ირაკლი ალასანიას უახლოეს დღეებში უნდა შეეხვედეთ. გენერალთა კლუბსა და ოფიცერთა ორდენში არაერთი პროფესიონალია, რომელსაც დიდი პოტენციალი, პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება აქვს. მათი პოტენციალის გამოყენება, ალბათ, ორი გზით არის შესაძლებელი: ოფიცრების ნაწილს თავდაცვის სამინისტრო შეიარაღებულ ძალებში დააბრუნებს, ხოლო მეორე ნაწილის გამოცდილებას, ხედვებს რჩევას სახით მიიღებს. თავდაცვის ახალი მინისტრი შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილი ოფიცრების, ომის ვეტერანების უფლებებისა და ინტერესებისთვის ბრძოლას აპირებს.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით თევზაძეს, შესაძლოა, თავდაცვის მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრობა შესთავაზონ.

– დიხ, გენერალი დავით თევზაძე, ისევე როგორც გენერალი გია ყარყარაშვილი მინისტრის მრჩეველთა შორის იქნებიან. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ისინი არაერთ საომარ ოპერაციაში მონაწილეობდნენ და კარგად ეცნობი, რა გამოწვევების წინაშეა წვენი ქვეყანა. ალასანიამ განაცხადა, რომ ვეტერანი სამხედროების გამოცდილებას გამოიყენებს, ვინაშით, კიდევ ვინ დაემატება ამ სიას.

ბ. კვიციანი

# გახტანბ ჯაფარიძე: ბიორბი ბარამიძის მიერ 2004 წელს სოფელ ეცერში ჩატარებული ოპერაცია იყო სისხლიანი, მიიჩნევა დანაშაულებრივი ქმედება!



— თუ შენ იმის იმედით მოხვედი, რომ მე ჩემს ფრონტულ თავდასავლებს მოგვიყვები, მაშინ სალაპარაკო არაფერი გეპაქს! შეგიძლია წახვიდე, ოღონდ, წახვალამდე დეინო გამისინჯე. — მორევებითი სიმკაცრით "მაფრთხილებს" ოდი სამამულო ომისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი **გახტანბ ჯაფარიძე**.

ამ ადამიანის ხმის ტემბრი და იერი მეტყველებს მის უწყვეტ ნებისყოფაზე. ბატონ ვახტანგს ჩემს ჭკუაზე ნამდვილად ვერ ვატარებ და მომიწევს, თადარიგში "ნაწყობილი" ჟურნალისტური ხრიკები გადავლო! რას ვიხამ, მის დაკრულზე ცმკვა მომიწევს!

— მე, ბაბუ, ასე ვფიქრობ: წარსულს პატივი უნდა სცე, აწმყო დაფასო და მომავალზე იფიქრო. ვერ წარმოვიდგენდი, ჩემს სამშობლოს "ნაცმოძრაობის" სახით ასეთი უბედურება თუ დაატყვევებდა თავს! აქ მოვლენებს გაგუსწრებ და ვიტივტი, თითქმის ორსაათიანი საუბრის მანძილზე ბატონ ვახტანგს არ წაოცდენია ფრაზა: **"ამ ქვეყანაში"; მხოლოდ "ჩვენს ქვეყანაში", "ჩვენს სამშობლოში", "ჩვენს სახელმწიფოში"** ამბობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, საქართველო მისი სულის ნაწილია და არა სასტუმროს ნომერი!..

ვახტანგ ჯაფარიძე 1921 წელს, დვითის-შობლობას — 21 სექტემბერს დაიბადა რაჭის უღამაზე სოფელ შარდომეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1942 წლის 21 იანვარს ჯერ კიდევ სტუდენტი ფრონტზე გაიწვიეს. იყო მხვერვალი, ქალაქ კვლიკოე ლუკისთან განაღებულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ექიმებმა ფეხის ამპუტაცია მოითხოვეს, მაგრამ ურჩი პაციენტის უარი მტკიცე და შეუვალი აღმოჩნდა.

**"ჯოჯობა ბიჭმა"** ფეხი შეინარჩუნა, თუმცა მეორე ჯგუფის ინვალიდად დაუბრუნდა სამშობლოს. აქაც იზინა თავი ვახუშტის მტკიცე ხასიათმა. ის ბედს არ შეურიგდა, ჯანმრთელობაც აღიდგინა, იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა და 1949 წლიდან დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. სხვადასხვა დროს იყო ოსურგულის, ქუთაისისა და ზესტაფონის რაიონების მილიციის უფროსი. ის ხიფათს არასოდეს მორიდებია — უიარაღოც დაპირისპირებია ბანდიტებს. თავის მუშაობაში ბატონმა ვახტანგმა მრავალი ნოვატია დანერგა, რომელთაც, პროფინდოაქტიური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საკავშირო **შსს**-ს მოწონება დაიმსახურა — დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, ასევე უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, რაც ძალზე იშვიათად ერგებოდა მილიციის თანამშრომლებს.

1974 წელს გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატში. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გახსნილი ურთულეს სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათ აღწერა, ვშიშობ, ერთი სექტელანია წივილიც კი არ ეყოფა! განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ ჯაფარიძის მიერ ისეთი საქმეების ოპერატიული განხორციელება, როგორებიც იყო მინდიაშვილების, დევაძის, კაკაბუთის და სხვა იმ დროისთვის საკმაოდ გახმაურებული დანაშაულებები! მაგრამ სვანეთში, სოფელ ეცერში ჩატარებული ოპერაცია, რომელიც ყველა პროგნოზის მიუხედავად, უსისხლოდ ჩატარდა, დღემდე ჩამდევს პროფესიონალთა წრეში მიხიწვა ოპერატიული საქმიანობის უმაღლეს მიღწევად!

— ბატონ ვახტანგ, თქვენ არ მოისურვებთ საუბარი დიდი სამამულო ომის იმ ეპიზოდებზე, რომლებშიც მონაწილეობდით,

რადგან თვლით, რომ დღევანდლობა უფრო გაწუხებთ და სათქმელიც ბევრი გაქვთ. გამოსავალი არ დამიტოვებთ! კეთილი, ვისაუბროთ დღევანდელ პოლიტიკაზე, რომელიც ასე ამყობენ "ნაციონალები".

— საქართველოში დანაშაულებები წინააღმდეგ ბრძოლა "ნაციონალებიდან" არ დაწყებულა და არც "ნაციონალებით" დასრულდება. ამას თამამად ვიტყვი, ჩვენი ვაღია, პატივი ვცემო წინა თაობას, დავაფასოთ მათი თავდადებული, პატიოსანი შრომა, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების პერიოდში უხდებოდათ მუშაობა თუ მათ შემდეგ. **"ნაციონალებს"** სურდათ, წინა თაობა გამოეყვანათ კორუპციისგან, არაპროფესიონალებად და უსაქმურებად კი! ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! არათუ ჩემი თაობა, მომავალი თაობაც პატივისცემით მოიგონებს აწ გარდაცვლილებს: ოთარ ქავთარაძეს, ვარლამ შადურს, ნიკოლოზ ჯანუჯიას, ვალერიან თალაკვაძეს, სურბაგაგას, ვასო ჩალაძეს, ვახტანგ ოდიშელს, ლევენდარულ პიროვნებას — გრიგოლ შალამბერიძეს და მათ წინამორბედებს! ვის შეუძლია დაიფიქვოს და პატივი არ სცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს — გურამ გვეტაძეს, მის მოადგილეს — სანდრო კავსაძეს, რომელიც ამჟამად ბერადა აღკვეცილი, შოთა გორგოძეს, გივი ლობჯინიძეს, ჯიმი მიქელაძეს, დემურ მიქაძეს, ნუზარ ქავთარაძეს, გივი ხაზარაძეს, სურბა მანაძეს, ბიჭიკო გაბუნიას და მრავალ სხვას შემდგომი თაობიდან! გვახდეს ასეთი პროფესიონალები და ერთხელ მაინც არ გამოთქვა მათთან შეხვედრის სურვილი, წარმოუდგენელია! ფაქტია, მსგავსი სურვილი არ გასჩენია არც მერაბიშვილს და არც ახალაიას.

— **ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება თქვას — რა საჭიროა ვეტერანებთან შეხვედრა, აგერ, მათი დახმარების გარეშე, ვანო მერაბიშვილმა ისეთი პოლიცია ჩამოაყალიბა, რომ მისი გამოცდილების შესასწავლად ვერაფერს მოწინავე ქვეყნებიდანაც ჩამოვინახებ, განსაკუთრებით კი, ე.წ. პენიტენციური სისტემის შესასწავლად.**

— ვეტერანებთან შეხვედრები, მათი გამოცდილების გაზიარება, არქივებიდან სენსაციური საქმეების ამოღება, რომლებიც წინა თაობამ განახორციელა მკვლელობებისა და ჩახოცვების გარეშე, და ამ საქმეების გაცნობა, ვფიქრობ, კარგ შედეგს გამოიღებდა დღევანდელი პოლიციელების კვალიფიკაციის ამაღლებაში. მაგრამ რომელ კვალიფიკაციაზეა საუბარი, როდესაც გამჭვირვალე შენობის ერთ ოთახში 20-25 გოგონა ზის, 20-დან 25 წლამდე ასაკისა, და, მე რომ მათ საუბარს შემომხვევით მოუხსნიან, გაოგნებული დაფრჩხილნი ერთხელ მერაბიშვილმა ბავშვები მიიყვანა პოლიციის ახალ შენობაში და ტელევიზიით ამგვარი მხარეთვე განაცხადა: პოლიციაში მომავალში ბავშვები უნდა გაართოს. თქვა და მეორე დღეს რუსთაველის გამზირზე საშინელი მკვლელობა მოხდა!..

უფრო მეტიც, დიდი პროპაგანდა იყო იმისა, რომ დანაშაულები შემცირდაო. მართლაც, დანაშაულის ზოგიერთი კატეგორია შემცირდა, მაგრამ აქ გაუგებარი რამ ხდება. წესით და რიგით, დანაშაულის შემცირების პარალელურად უნდა მცირდებოდეს პატიმართა რაოდენობაც; ხოლო, თუ პატიმართა რაოდენობა გაზრდილია, მაშინ დანაშაულებთან შემცირებაზე ხელს გარეუხებ?! ამჟამად, პატიმართა რაოდენობა 40 ათასზე მეტია, პრობაციონერთა კი — 300 ათასს აღწევს!

— **თუმცა, ბატონო ვახტანგ, პატრულის შემქნა მიღწევა იყო!**

— რა თქმა უნდა, მაგრამ თანდათანობით მოხდა ამ სამსახურის დეგრადირება. იგი დანაშაულის არა პროფინდოაქტივად, არამედ თავისებურ ბიზნესად იქცა, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონობით შემოსავალი უნდა შემოეტანა. აქ კიდევ საკითხავია, მართლა ბიუჯეტს ხმარდებოდა ეს თანხები?!

— **სამაგიეროდ, კანონიერი ქურდები აღარ გვაყავს!**

— ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია. პოდა, 1960-65 წლებში იქ მუშაობდი სისხლის სამართლის განყოფილების უფროსად. თამამად ვაცხადებ, იმ პერიოდში ქუთაისში ე. წ. კანონიერი ქურდები არ იყვნენ.

ბატონ ვახტანგისთვის ყველაზე მტკივნეული თემა მკვლელობები ოპერაციების ჩატარების დროს.

— მე მიკვირს, სპეცრაზმი ასე რამ გააბოროტა! ნუთუ ამ სპეცრაზმელებს ოჯახები არ ჰყავთ? ჩაფხუტი რომ გაქვს

სახეზე ჩამოფარებული, განა უფალი ვერ გხედავს?! ეს ხომ შენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს მოეკითხებათ!

მაგრამ ყველაზე ამაზრზეანი რამ მოხდა სვანეთში, სოფელ ეცერში 2004 წელს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს. უნდა ვითხრა, რომ ეს ოპერაცია დანაშაულის აყვანა კი არ იყო, არამედ სისხლიანი, მძიმე დანაშაულებრივი ქმედება, რაც მაშინდელმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ჩაიდინა! იმის მიუხედავად, რომ ოჯახის უფროსი ევგენი აფრასიმე ხელნაწერი გამოვიდა კიბეზე, დაცხრილეს; როდესაც ის შვილებმა სახლში შეათრეს, სპეცრაზმელები შევიდნენ შიგ და გონასა და ომებს ბორკილები დაადეს, შემდეგ შარავხაზე გაიყვანეს და დახვრიტეს!.. უნდა აღვნიშნო, რომ იმ საშინელ, დაუნდობელ ომშიც კი, ბორკილდადებული ადამიანი არავის დაუხვრეტია არც ფაშისტებს და, მიუხედავად, რაც ჩვენ! მეტსაც გეტყვი, თუ გერმანულ ტყვეს სასტიკად მოექცევი, სავსე ტრიბუნალი არ აცდებოდა! ეს სტალინის ბრძანება იყო, რომლის ძველი მის შობილიურ გორში ამ ნაძირლებმა აიღეს!.. ომები დაიღუპა, გონა კი გადარჩა. მეგრე, ამ ჩაფხუტიანმა მხეცებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს და დაჭრილი ევგენი აფრასიმე ცოცხლად დაწვეს! ამაზე მეტი ვანდალიზმი ვაგვიგონია სადმე?!

როდესაც გიორგი ბარამიძემ პაერადან და ხმელეთიდან იერიში მიიტანა ევგენი აფრასიმის სახლზე, ევგენის უფროსი ვაჟიშვილი — შმაგი სამი შეილთან და მუდღესთან ერთად იმყოფებოდა მეორე სახლში. რომ ტყვეები წვიმაც წამოვიდა, შმაგიმ შეილები საწოლქვეშ შეეკრა და თვითონ ზემოდან გადაეფარა. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ **"ოპერაციის"** დამთავრებამდე. შმაგის ხელშეწყობად შეუქმნეს მასალები, თითქოს, ის სახენირო არტილერიით უწვედა წინააღმდეგობას სპეცრაზმს და ქუთაისის სასამართლომ მას 18 წელი მიუსაჯა. ვკითხულობ ბარამიძეს და ევგელს: თუ სახენირო არტილერია პქონდათ აფრასიმეებს და იყენებდნენ, სად გაქრა, რატომ არ ამოიდგეს და არ დაურთეს საქმეს, როგორც ნივთმტკიცება? მართალია, სააკაშვილმა განაცხადა ტელევიზიით, რომ მე გავეცი განკარგულება აფრასიმეების ჩახოცვაზე, მაგრამ ეს **"ადიარება"** ბარამიძეს არ ამართლებს, რადგან ის კანონით ვალდებული იყო, არ დამორჩილებოდა დანაშაულებრივ ბრძანებას! ბოლოს და ბოლოს, გადამდგარიყო!

1980 წელს, 16 წლის ძეხვის შემდეგ, ვახტანგ ჯაფარიძემ გაიკეთა გრძივი, პარიკი, წაიღო ცემიერი სოფელ ეცერში და დაიწყო ვაჭრობა. გაიწიო ევგენი, მოიპოვა მისი ნდობა და ათაკაციანი ოპერატიული ისე აიყვანა, რომ ევგენი აფრასიმეს თითქმის არ გაკაწვია.

— ბაბუ, ამნაირი 48 ოპერაცია პირადად ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა, და იმით ვამაყობ, რომ აყვანისას არც ერთ ბოროტმოქმედს თმის დერც არ ჩამოვარდინა. იცი, რატომ? იმიტომ, რომ სამძებროში დიდებული მასწავლებლები მყავდა, რომლებიც თავის უმდიდრეს გამოცდილებას მიზიარებდნენ. ამიტომ, მე მივმართე ახალ მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, თხოვნი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნას მუხუმი, მოიწვიონ იქ მაღალკვალიფიციური მქონე პირები და შეისწავლონ როგორც წარსული, ისე აწმყო. დარწმუნებული ვარ, ბატონი ირაკლი ამ მოსახრებას მხარს დაუჭერს!

1983 წელს 63 წლის ასაკში პენსიაზე გადავი. იმ პერიოდში, თამამად ვამბობ, ნარკოტიკებისა და იარაღის ჩაღება და პიროვნების დაკავება ფიქრადაც არავის მოუფიქროდა.

ევგენი მერაბიშვილსა და ახალაიას: რა შეიძლება იმაზე დიდი დანაშაული იყოს, ვიდრე ის, რომ პიროვნებას, რომელსაც არაფერი ჩაუდენია, ხელგონურად უქმნი დანაშაულს, რათა სასამართლომ სასჯელი შეუფარდოს?! ეს ხომ არაკაცობაა! ამ ბოროტებამ თქვენი მმართველობის ბოლო პერიოდში საყოველთაო ხასიათი მიიღო!.. დღეს ზესტაფონის საპატიო მოქალაქე, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერი ვახტანგ ჯაფარიძე ძველი თბილისის რაიონის ვეტერანთა კავშირს თავაკვობს. 2005 და 2007 წლებში ორჯერ დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

